პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მესამე

კომუნისტი

ს. კ. პ.
ცენტრალურ და თბილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ. წ. არ. და მატრ.
დეპ. საბ.
ცაკის ორგანო.

რედაქცია: ტფილისი, კრუზენ. ქ. № 4. მე-3 სართული

მთავარი კანტორა: ტფილისი, რუსთაველის პრ. № 24 მე-2 სართული ტელეფ. 5—46

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე

ტელეფ. ნომრები რედაქტორის 14—76. მდივნის 10—58

ერთის მოწერის თვიური ფასი: საქართველოში 230.000 მ. სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში 1200 მ. 1922 წ. ნიშნებით განცხადება—30 ათ. მ. ნონპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 1 მილ. მ.

№ 35 ხუთშაბათი 15 თებერვალი 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 10,000 მან. № 35

დღიური

ირლანდიაში აჯანყებულებმა მოკლეს გარეშე საქმეთა მინისტრის ძმა ხიგგინსი.

იტალიაში გრძელდება ჩხრეკა და დაპატიმრებანი აჯანყებული შეთქმულობის გამო.

დასავლეთ ფრაკიაში მოხდა ოსმალ-ბოლგართა ნაწილების შეტაკება ბერძნებთან. მოკლულია საბერძნეთის 100 ჯარისკაცი.

რურის ოლქის ოკუპაცია გაგრძელდება 10 წლით.

ტრიესტის ბაზრობის შენობებს ცეცხლი გაუჩნდა.

ქართული მსროლელი დივიზიის პოლიტიკური განყოფილება ულრმესი მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას დივიზიის მოწინავე მებრძოლ ამხანაგების

სამოსწავლო ათასეულის სამკომის ამხ.

საშა ოზოლაძის

ათასეულის კომანდირის ამხ.

სანიკიძის

და

მუნდის უფროსის თანაშემწის ამხ.

ჩუბინიძის

ტრაგიკულად დაკარგვას, რომლებიც მხეცურად იქნენ დახოცილნი მენშევიკ, ბანდიტების მიერ. სამოქალაქო პანაშვიდი დანიშნულია ცენტრალურ წითელ არმიელთა კლუბში. სასახლის ქუჩა № 5. საღამოს 6 ს. 15 თებერვალს. დაკრძალვა მოხდება 16 თებერვალს. გამოსვენება წითელ არმიელთა კლუბიდან დღის 3 საათზე.

კრ. 180—2—1

ქართული დივიზიის სამოსწავლო საკადრო ათასეული ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ ქ. ოზურგეთში ბანდიტ-მენშევიკების ხელით ტრაგიკულათ დაიღუპენ ჩვენი უფროსი ხელმძღვანელნი და საქართველოს წითელი არმიის სახელოვანი შვილები

ამხ. ოზოლაძე, სანიკიძე და ჩუბინიძე.

დასაფლავება 16 თებერვალს, დღის 3 საათზე ალექსანდროვის ბაღში.

ქართულ მსროლელთ დივიზიის შტაბი ულრმესი მწუხარებით იუწყება გარდაცვალებას დივიზიის სახელოვან მებრძოლთა, ძვირფასი ამხანაგების

სამოსწავლო-საკადრო ბატალიონის უფროსის ამხ.

სანიკიძის

ბატალიონის სამხედრო კომისარის ამხ.

საშა ოზოლაძის

და

ბატალიონის როტის უფროსის თანაშემწის ამხ.

ჩუბინაშვილის

რომელნიც მოკლულ იქნენ მენშევიკ-ბანდიტების მიერ ოზურგეთის მაზრაში სოფ. ლიხაურში.

ა. წ. 18 მარტს თბილისში მოწვეული იქნება კომუნისტური ორგანიზაციების

ამიერ-კავკასიის მე-2-ე ყრილობა

პარტიულ ყრილობის დღის წესრიგი:

1. ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის (პოლიტიკური და საორგანიზაციო) ანგარიში.
2. საკონტროლო კომისიის ანგარიში.
3. სარევიზიო კომისიის მოხსენება.
4. ახალგაზრდობის კომკავშირის ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის მოხსენება.
5. ფინანსიურ რეფორმის შედეგები და საგადასახადო პოლიტიკა.
6. ეროვნული მომენტი საბჭოთა და პარტიულ აღმშენებლობაში.
7. საორგანიზაციო საკითხები.
8. სამეურნეო აღმშენებლობის საკითხები.
9. არჩევნები.
10. მიმდინარე საქმეები.

წარმომადგენლობის ნორმა—პარტიის ყოველ 100 წევრზე 1 დელეგატი.

რუს. კომპარტიის ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის მდივანი—**ა. მიასნიკოვი.**

თებერვლისთვის მოწვეულია ქ. თბილისის და თბილისის მაზრის კომუნისტურ ორგანიზაციების

პარტკონფერენცია

დღის წესრიგი:

1. საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის და სარევიზიო კომისიის ანგარიში.
2. საქართველოს კომპარტიის მორიგი ამოცანები.
3. ახალ ეკონომიურ პოლიტიკის შედეგები და საქართველოს სამეურნეო აღმშენებლობის უახლოესი მიზნები.
4. არჩევნები.
5. მიმდინარე საქმეები.

წარმომადგენლობის ნორმა. 10-სგან ერთი დელეგატი.

არჩევნები ხდება ქ. თბილისის საერთო რაიონულ კრებებზედ და თბილისის მაზრის კომუნისტურ ორგანიზაციების პარტკონფერენციებზე.

კონფერენციის გახსნის დროსა და ადგილის შესახებ გამოცხადებულ იქნება დამატებით.

თბილისის კომიტეტის მდივანი: **მიხ. კახიანი.**

ამიერ-კავკასიის ეკონომიური თათბირი

ამიერ-კავკასიის ეკონომიურ საკითხების ყოველმხრივ გასაშუქებლად და მეურნეობის მახლობელ პერსპექტივების გამოსარკვევად ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭო იწვევს ა. წ. 1 მარტისათვის ქ. ტფილისში ამიერ-კავკასიის ეკონომიურ თათბირს, საოლქო და ადგილობრივ ეკონომიურ სახ. კომისარიატების, სახელმწიფოებრივი სავაჭრო ორგანიზაციების, კოოპერატივთა პასუხისმგებელ ხელმძღვანელთა და აგრეთვე მეურნეობის ყოველსხვა სპეციალისტებისა და მცოდნეთა მონაწილეობით.

თათბირის დღის წესრიგი:

1) ამიერ-კავკასიის ეკონომიკის საერთო მიმოხილვა.
2) ა. ამიერ-კავკასიის სასოფლო მეურნეობა და მისი განვითარების გზები.
   ბ. საქონლის მოშენების მდგომარეობა და მისი პერსპექტივები;
   გ. საძოვრების საკითხი;
   დ. ტყის მეურნეობა.
3) სამრეწველო მცენარეთა კულტურა და მათი განვითარების პერსპექტივები.
4) მხარის წყლის მეურნეობა და ირრიგაციის საკითხები.
5) ამიერ-კავკასიის ბუნებრივი სიმდიდრენი.
6) დამუშავებელი მრეწველობის ფორმები და ამოცანები.
7) ა. ელექტროფიკაცია;
   ბ. უღელტეხილის ელექტრონის გზა.
8) ამიერ-კავკასიის ფულის სისტემა და პერსპექტივები.
9) გადასახადები და საგადასახადო პოლიტიკა.
10) მიმოსვლის გზები და საშუალებანი (მათი მდგომარეობა და განვითარების საკითხები).
11) საგარეო ვაჭრობა და საბაჟო პოლიტიკა.
12) ამიერ-კავკასიის ბაზრები.
13) შინაური ვაჭრობა, მისი ორგანოები და ვაჭრობის კანონმდებლობა.
14) კოოპერაცია საბჭოთა მეურნეობის სისტემაში.
15) ამიერ-კავკასიის სამეურნეო სამმართველოს ორგანიზაციის ფორმა.

ყრილობაზე მოწვეული არიან:

უმაღლეს საოლქო ორგანოების—ამიერ-კავკასიის ცაკის, ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს, უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს და სრულიად-რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს წარმომადგენლები; გაერთიანებულ სახალხო კომისარიატების: ფინანსთა სახალხო კომისარიატის, ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატის, სასურსათო სახალხო კომისარიატის, მუშათა და გლეხთა ინსპექციის, გზათა სახალხო კომისარიატის და შრომის სახალხო კომისარიატის სახალხო კომისრები; რ. ს. ფ. ს. რ. სახელმწიფო ბანკის ტფილისის განყოფილების,—სავაჭრო სამმართველოს—გამგეები; ამიერ-კავკ. სახელმწიფო ვაჭრობის, რუსეთის სახელმწიფო ვაჭრობის, პურის პროდუქტის განყოფილების, ამიერ-კავკასიის კავშირის, ცენტრო კავშირის და საბაჟო სამმართველოს ხელმძღვანელები; რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოს წარმომადგენლები; რესპუბლიკების მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატების, სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს სახალხო კომისრები; ფინანსთა სახალხო კომისარიატის, სასურსათო სახ. კომ., მუშათა და გლეხთა ინსპექციის რწმუნებულები; ბამბის მოშენების კომიტეტების, მუღანის სამელიორაციო აღმშენებლობის განყოფილების, სომხეთის სახელმწიფო ვაჭრობის განყოფილების, ვაჭრობა-მრეწველობის სახალხო კომისარიატის, ს. ს. ს. რ. სახალხო ბანკის, სახელმწიფო ბანკები, საქ. ს. ს. რ. კოოპერატიული ბანკის, „ჩემო“-ს, აზერბეიჯანის თევზის და აბრეშუმის მრეწველობის განყოფილებების გამგეები; პროფკავშირთა საბჭოს წარმომადგენლები; ცეკავშირის, აზერბეიჯანის კოოპერატიული კავშირის, სომხეთის კოოპერატივთა კავშირის, აფხაზეთის კავშირის წარმომადგენლები; ცენტრალური სტატისტიკური განყოფილებების გამგეები.

განზრახულია აგრეთვე პერსონალურად მოწვევა ამიერ-კავკასიის ქარხნების წარმომადგენლების, სპეციალისტების (აგრონომების, ინჟენერების, ეკონომისტების და სხ.).

ყრილობის მოწვევა დაკისრებული აქვს ამიერ-კავკასიის გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატს, სადაც შეიძლება ყოველგვარი ცნობების მიღება.

პარტიის მე-12-ტე ყრილობისათვის

ამა წლის მარტში მოსკოვში შესდგება საბჭოთა ფედერაციის კომუნისტური ორგანიზაციების მე-12-ე ყრილობა.

პარტიულ ყრილობებთან ხშირად ყოფილა დაკავშირებული არსებითი გარდატეხა მთელი პოლიტიკის, მისი ახალი გეზი.

შორს რო არ წავიდეთ, მე-10-ე ყრილობამ დასაწყისი მისცა ე. წ. ახალ ეკონომიურ პოლიტიკას, მე-11-ემ აღიარა ეკონომიურ ფრონტზე შემდეგი უკან დახევის შეჩერების ფაქტი და პროლეტარიატის ხელში არსებულ „ბრძანებელ მწვერვალების“ შენარჩუნების აუცილებლობა.

განუზომელი იქნება აგრეთვე მომავალი ყრილობის მნიშვნელობა არა იმ აზრით, რომ ის რამე სრულიად „ახალ სიტყვას“ იტყვის, ახალ მიმართულებას მისცემს ჩვენს საშინაო და საერთაშორისო პოლიტიკას.

მეთორმეტე ყრილობა გაუკეთებს ჯამს იმ აღმშენებლობითი და ორგანიზაციული პროცესის შედეგებს, რომლებსაც მივაღწიეთ როგორც შინ—პარტიულ ცხოვრებაში, ისე საბჭოთა მუშაობაში და ქვეყნის სამეურნეო აღორძინების სფეროში.

ყრილობაზე დაისმება საკითხები პარტიის ორგანიზაციული სტრუქტურის რამდენიმეთ შეცვლისა ცხოვრების მოთხოვნილებებთან შეფარდებით. ამ საკითხს უკვე შეეხო ამხ. ლენინი თავის წერილში: „მუშათა და გლეხთა ინსპექციის რეორგანიზაცია“. ეს სათაური სავსებით არ ამოსწურავს მის შინაარს, რომელიც აგრეთვე შეიცავს პარტიის ცენტრალურ კომიტეტის და საკონტროლო კომისიის ერთგვარი რეორგანიზაციის პროექტს, იმ აზრით, რომ ეს დაწესებულებები უფრო მჭიდროდ დაუახლოვდნენ, ერთის მხრივ, პარტიულ მასსებს და ორგანიზაციებს, მეორე მხრივ, საბჭოთა დაწესებულებებს და მშრომელთა ფართე მასსებს.

უფრო მნიშვნელოვანია საკითხი პარტიის პროგრამის შესწორების შესახებ, რომელიც წამოაყენა ამხ. ბუხარინმა. ეჭვი არ არი, ჩვენი პროგრამა, თავის კონკრეტულ ნაწილში საკმაოდ მოძველდა. მე-8 ყრილობის შემდეგ, რომელზედაც მიღებულ იქნა პროგრამა, ცხოვრებაში მოხდა არსებითი ცვლილებები და პირველ ყოვლისა ისეთი ფაქტი, როგორიცაა ფაქტი ახალი ეკონომიური პოლიტიკის. შეუძლებელია ჩვენმა პროგრამამ მას გვერდი აუაროს. ეს იწვევს ბევრ გაუგებრობას და უხერხულობას. პროგრამაში დამატების სახით უნდა შევიდეს ძირითადი სახელმძღვანელო დებულებები ახალ ეკონომიურ პოლიტიკის შესახებ. სხვათა შორის, ასეთი საპასუხისმგებლო ამოცანის შესრულება აწევს მე-12 ყრილობას.

რაკი ჩვენ სიტყვა ჩამოვაგეთ პარტიის პროგრამაზე, შეუძლებელია არ ავღნიშნოთ ერთი გარემოება: კომინტერნის მეოთხე კონგრესზე დადგენილ იქნა, კომუნისტური ინტერნაციონალის ერთიანი პროგრამის პროექტის დამუშავება მეხუთე კონგრესისათვის, რომელმაც ის საბოლოოდ უნდა მიიღოს.

ამ პროგრამის დამუშავებაში უდიდეს მონაწილეობას მიიღებს კომინტერნის ყველაზე უფრო მძლავრი და გამობრძმედილი სექცია, როგორიცაა ჩვენი პარტია. მე-12 ყრილობა ამ მხრივაც გადასდგამს საჭირო ნაბიჯებს.

მომავალი ყრილობის მსჯელობის საგნათ გახდება სხვა საჭირბოროტო საკითხებიც. ერთი ასეთთაგანია: ეროვნული მომენტი პარტიულ და საბჭოთა აღმშენებლობაში. ამ სფეროში მუშაობა არ არის დასრულებული, ყველაფერი ნათელი და გარკვეული არ არის, რაც იწვევს გაუგებრობებს და უთანხმოებებს. ამას მოწმობს თვით ფაქტი ყრილობის დღის წესრიგში ამ საკითხის შეტანის.

აქ ჩვენ ორნაირ გადახრასთან გვაქვს საქმე; ერთია: „თვითმპყრობელური რუსული შოვინიზმი“, მეორე კი—„ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ადგილობრივი ნაციონალიზმი“.

ამხ. ზინოვიევმა თბილისის პარტორგანიზაციის საერთო კრებაზე განაცხადა, რომ „ჩვენ უნდა გავატაროთ ლენინის სკოლა ნაციონალურ საკითხში, რომ მომავალ ყრილობის მუშაობა გაივლის ამ ორ გადახრათა შუა“.

აუცილებლად უნდა შევებრძოლოთ ორივე სახის გადახრას და ძირშივე ალვმოფხვრათ ეს ძველი მემკვიდრეობა ნაციონალიზმის შხამი.

ყრილობა გამონახავს ისეთ ფორმებს, რომელნიც პარტიულ და საბჭოთა აღმშენებლობაში საუკეთესოდ შეათანხმებენ ნაციონალურ და ინტერნაციონალურ მომენტებს.

ყრილობის დღის წესრიგში დგას სხვა უაღრესი მნიშვნელობის საკითხები: ცეკას პოლიტიკური ანგარიში, რომელიც მოგვცემს შინაურ და საერთაშორისო მდგომარეობის სწორ დახასიათებას და დასახავს ჩვენს მორიგ ამოცანებს: ეკონომიური და ფინანსიური საკითხები, რომელნიც უწინდებურად იპყრობენ ჩვენს ყურადღებას. ყრილობა გამონახავს გზებს საბჭოთა რესპუბლიკების მეურნეობის და ფინანსიურ მდგომარეობის შემდეგი აღორძინებისა და გაჯანსაღებისათვის.

მე-12 ყრილობა იტყვის თავის ავტორიტეტულ სიტყვას ყველა იმ საკითხების და მოვლენების შესახებ, რომელნიც წამოჭრილნი არიან ჩვენი სინამდვილის დღის წესრიგში.

ყველა ადგილობრივი ორგანიზაციები უნდა მოემზადონ, რათა მიიღონ მასში შეგნებული მონაწილეობა.

პრესა

„კაპიტალიზმის რესტავრაცია“.

ქ. ხარბინში გამომავალი გაზ. „ნოვოსტი ჟიზნი“, რომელსაც მეთაურობს მემარჯვენე „სმენავეხისტი“, პროფ. უსტრიალოვი. გაზეთშია მოთავსებული წერილი, რომელიც არჩევს საინტერესო საკითხს იმის შესახებ, მოასწავებს თუ არა ფგრედ წოდებული „ახალი ეკონომიური პოლიტიკა“ კაპიტალიზმის რესტავრაციას? წერილის ავტორი შემდეგნაირათ უპასუხებს ამ კითხვაზე:

„ახალი ეკონომიური პოლიტიკა არის პოლიტიკა საბჭოთა სახელმწიფოსი და არა ძველი პოლიტიკა კაპიტალის. და ამ დებულების საზღვრებში ხდება დაშვება არა სოციალისტური სამეურნეო წესების.

შეიძლება ხომ მეცნიერულათ იქნეს დამტკიცებული, რომ ისტორიაში არ არსებობს წმინდა ტიპები სოციალური ორგანიზმების. ხომ არ გამქრალან თანამედროვე კაპიტალისტურ ორგანიზმში ყველა მხარეები და ნიშნები ფეოდალური წყობილების. კაპიტალისტური რეჟიმი ისე კი არ გამოსტყვრალა არარაობიდან. და თუ ჩვენ ვხედავთ დღეს შეთავსებას სოციალისტური აღმშენებლობისათ კაპიტალიზმის ზოგიერთ ელემენტებთან—ეს ისეთივე ბუნებრივი ისტორიული მოვლენაა, როგორც პროცესი კაპიტალისტური აღმშენებლობის ფეოდალურ ურთიერთობათა ფარგლებში. ნიშნავდა თუ არა ეს გარემოება წარსულში, რომ კაპიტალიზმს ჩაჰკლავდა ძველი საზოგადოებრივი ორგანიზმი? ნიშნავს თუ არა ესევე დღეს, რომ სოციალისტურ აღმშენებლობას დაღუპავს „ახალი ეკონომიური პოლიტიკა?“ არა!!

ყოველივე ეს ისტორიულათ მართალია. მაგრამ ამ „მექანიკის“ ვერაფერი გაიგეს იმ „სოციალისტებმა“, რომლებიც „კაპიტალიზმის რესტავრაციის“ იდეოლოგებათ გვევლინებიან.

რადიო-დეპეშები

რურის ოლქის ოკუპაცია

ოკუპაციის გაგრძელება.

ლონდონი. 14 თებერვალი. **პარიზიდან მიღებულ ცნობით, პუანკარე და ჟასპარი შეთანხმდნენ ოკუპაციის 10 წლით გაგრძელების შესახებ.**

რკინის გზების ხელში ჩაგდება.

ლონდონი, 14 თებერ. გენ. ნაიომ მიიღო თავის თავზე რეინლანდის და რურის ყველა რკინის გზების მმართველობა.

იმუქრებიან შიმშილით.

ჰანოვერი. 23 თებერვალი. დაკავებულ ოლქებიდან იტყობინებიან, რომ საფრანგეთის მთავრობა აიძულებს გერმანელ რკინისგზელებს ან სავსებით თავი გაანებონ სამსახურს, ან იმუშავონ საოკუპაციო ხელისუფლების კონტროლის ქვეშ. სურსათ-სანოვაგის მიწოდება დამოკიდებული იქნება მოსამსახურეთა რიცხვზე, რომლებიც გამოსთქვამენ სურვილს დადგენ სამსახურში. გერმანულ პრესის აზრით, ეს არის მთელი გერმანელ მოსახლეობის სიმშილისაგან განადგურების დასაწყისი.

ფრანგების ძალადობა.

ჰანოვერი. 14 თებერვალი. (რადიო). ესენში ფრანგებმა გამოსცეს ბრძანება, რომლის ძალით უნდა გადაასახლონ ყველა გერმანელები იმ სასტუმროებიდან, რომელთა მოსამსახურეებმა უარი განაცხადეს იმუშაონ ფრანგ ოფიცრებისათვის. სასტუმროები იქმნა დაცლილი გერმანელებისაგან ძალადობით. განწყობილება ესენში უკიდურესათ გამწვავებულია.

რეკვიზიციები.

ჰანოვერი. 14 თებერვალი. ფრანგები რეკვიზიციას უშვრებიან ფოლადის ჩამომსხმელ მრეწველობის ფაბრიკატებს. მოდიან ცნობები რკინის ფოლადის ჩამომსხმელ ქარხნების ნახშირის რეკვიზიციის შესახებ. ესენში და დელვიგეში ბელგიელთა კომპანიამ ხიშტებისა და მუქარის დახმარებით რეკვიზიცია უყო მთელ ნახშირს, რომელიც იქ იმყოფებოდა.

მუშების წინააღმდეგ.

რომი. 14 თებერვალი. ოკუპაციის რაიონში საფრანგეთის ხელისუფლების მიერ დაპატიმრებულია ბანკის მოსამსახურეები, რომელთაც ბრალს სდებენ გაფიცულ მუშებისათვის ფულით დახმარებაში. ტრირში დააკავეს 200 მილ. მარკა, რომელიც შეადგენდა გაფიცულთათვის დასახმარებელ ფულის ფონდს.

ინგლისი არ ერევა.

ბორდო. 14 თებერვალი. (რადიო) რეიტერის სააგენტო იტყობინება, რომ ხმები შესახებ იმისა, ვითომც დიდი ბრიტანეთი იკისრებს შუამავლობას საფრანგეთსა და გერმანიას შორის რურის საკითხის შესახებ, მოკლებულია ყოველივე საფუძველს.

სძარცვავენ ყოველივე ხაზაზით.

ბორდო. 14 თებერვ. ქალაქ გელზენკირხენში გერმანელ პოლიციელის და ორ ფრანგ ჟანდარმთა შორის მოხდა ინციდენტი, რომელსაც მოყვა შედეგათ უკანასკნელთა დაჭრა. ამის გამო ფრანგებმა ქალაქ გელზენკირხენს დაადევს ჯარიმა 100 მილ. მარკა.

გერმანელ ჩინოვნიკების წინააღმდეგობა.

რომი. 14 თებერვ. დიუსელდორფიდან იტყობინებიან, რომ გერმანელი ჩინოვნიკები განაგრძობენ მოკავშირეთა ხელისუფლებისადმი პასიურ წინააღმდეგობის გაწევას.

რკინის-გზელთა რიცხვის შემცირების გადადება.

რომი. 14 თებერვ. იტყობინებიან, რომ კანონ-პროექტი რკინის-გზელთა რიცხვის 20.000 კაცით შემცირების შესახებ, რომელიც მოწონებული იყო რეიხსტაგის მიერ, გადაწყვეტილია გადაიდოს განუსაზღვრელ დროისათვის, რათა ამით წააქეზონ რკინისგზელები საფრანგეთის ხელისუფლებისათვის წინააღმდეგობის გაწევაზე.

გაფიცვები გრძელდება.

რომი, 14 თებერვ. დიუსელდორფიდან ჰავასის სააგენტო იტყობინება რომ რკინისგზელთა გაფიცვა რურში გრძელდება. გუშინ ტელეგრაფის და ტელეფონის კავშირი დიუსელდორფსა, პარიზსა და მაინცს შორის შეწყვეტილ იქნა გერმანელ მოსამსახურეების მიერ.

ვესელის და ემმერიხის ოკუპაცია.

ლონდონი. 14 თებ. ბელგიელებმა დაიკავეს ვესელი, რომელიც სრულიად დაცარიელებული იყო მცხოვრებლებისაგან. ემმერიხში ოკუპანტებმა იპოვეს 150 ვაგონი დატვირთული ნედლი მასალით, რომელიც უნდა გაზიდულიყო ჰოლანდიაში. გერმანიის მთავრობამ მიმართა ენერგიული პროტესტით პარიზის და ბრიუსელის მთავრობებს ვესსელის და ემმერიხის დაკავების წინააღმდეგ, რომელიც არ ეთანხმება არავითარ საერთაშორისო ხელშეკრულებას.

გერმანიის გაზეთების ცნობით, ფრანგების და ბელგიელების მიერ დაკავებული ქალაქები ციხე სიმაგრის სახეს იღებენ.

ოკუპაც-ის გაფართოება.

ჰანოვერი. 14 თებ. ბელგიის სამხედრო ნაწილებმა 13 თებერვალს დაიკავეს რეინზე ქალაქ ბი ვესელი და ემმერიხი, რომელნიც ჰოლანდიის საზღვარზე მდებარეობენ.

ოკუპანტების ძალადობა.

ჰანოვერი. 14 თებ. მელსენკირხენში შეიჭრა ფრანგების რაზმი, რომელიც შესდგებოდა ცხენოსანი და ქვეითი ჯარისაგან. ფრანგებმა დააპატიმრეს ქალაქის პოლიციის უფროსი და პოლიციელების ნაწილი. ქალაქში ფრანგებმა რეკვიზიცია უყვეს ყველა ავტომობილებს. მცხოვრებლები მეტად აღშფოთებული არიან. ესსენიდან იტყობინებიან საფრანგეთის ჯარების წინსვლის შესახებ. რკინისგზის მოძრაობა შეწყვეტილია.

ვერ შეთანხმდენ.

ჰანოვერი. 14 თებ. პარიზის კაბლოგრამმა იტყობინება, რომ საკითხი ინგლისის საოკუპაციო ზონაში არსებულ რკინის გზების შესახებ ჯერაც მოუწესრიგებელია. ინგლისი არ თანხმდება გაატაროს ნახშირით დატვირთული საფრანგეთის ვაგონები დიუსელდორფ-კელნახენ-მოლლეს მთავარ ხაზზე.

ბოიკოტი.

ჰანოვერი. 14 თებერვ. კილის სავაჭრო ფირმებმა დაადგინეს არ მიაწოდონ ნახშირი საფრანგეთის და ბელგიის გემებს, რომელნიც კილის არხში გაივლიან.

საფრანგეთის ნოტის უარყოფა.

ჰანოვერი. 14 თებერვ. პასუხად საფრანგეთის ნოტისა დაკავებულ ოლქებში გერმანელ მინისტრების ჩასვლის აკრძალვის შესახებ, გერმანიის მთავრობამ საფრანგეთის მთავრობას აცნობა, რომ ის უარყოფს უცხოეთის მთავრობების ყოველგვარ განკარგულებას გერმანიის მინისტრების მიმართ.

ებერტი ოკუპაციის შესახებ.

ჰანოვერი. 14 თებერვალი. პრეზიდენტ ებერტმა კარლსრუეში წარმოთქმულ სიტყვაში ყვება დაწესებულებების მოსამსახურეთა და პარტიების წინაშე გერმანიის ერის სახელით პროტესტი განაცხადა საფრანგეთის და ბელგიის მთავრობათა უმაგალითო ძალადობის წინააღმდეგ. ებერტმა სთქვა, რომ ეს მთავრობები არ მოერიდენ სისხლიან საქმეებს და მშვიდობიანი, მშრომელი, და ტანჯული ხალხის შევიწროებას. სიტყვის დასასრულს მან მოუწოდა მთელს ქვეყანას იყოს მოწამე იმ სისასტიკისა და არა ადამიანურ მოქმედების, რომელსაც ადგილი აქვს დაკავებულ ოლქებში.

ყელში თოკს უჭერენ.

ჰანოვერი. 14 თებერვ. კობლენციდან იტყობინებიან, რომ მოკავშირეთა რეინლანდის კომისიამ დაადგინა რურის მაზრიდან ფოლადის ჩამომსხმელი და სხვა მრეწველობის ფაბრიკატების გერმანიაში გატანის აკრძალვა გავრცელდეს რეინლანდზედაც.

აკრძალვა შეეხება აგრეთვე სალებავი საგნების, მარცვლეულის და სხ. გატანას.

რა დაჯდა ოკუპაცია.

ჰანოვერი. 14 თებერვალი. საფრანგეთის ფინანსთა მინისტრმა განაცხადა, რომ რურის ოკუპაციის ღირებულება ყოველთვიურად აღემატება 40 მილ. ფრანკს.

მადა გაეხსნათ.

ჰანოვერი. 14 თებერვალი. პარიზის გაზეთები იტყობინებიან, რომ რურის ოლქის და რეინლანდის რკინის გზების მოკავშირეების განკარგულებაში გადაცემა მოხდება 13 თებერვალს.

რურის გარშემო

ბონარ ლოუ რურის შესახებ.

ლონდონი. 14 თებერვ. ბონარ ლოუმ თავის სიტყვაში, რომელიც მან თემთა პალატაში წარმოსთქვა, განაცხადა: „ფრანგების მიერ რურის ოლქის დაკავების მიზეზი იყო ბრიტანეთის წინადადებების უარყოფა უნდა ითქვას მართალი, რომ საფრანგეთს აქამდე არაფერი მნიშვნელოვანი არ მიუღია ოკუპაციის მეოხებით და მან მხოლოდ დაარღვია რურის რეგულიარული სამრეწველო ცხოვრება. საფრანგეთმა უფრო მეტი ზიანი მიაყენა თავის თავს, ვინემ სხვებს. საფრანგეთის მოქმედების შედეგი ჯერ არ შეიძლება სავსებით გათვალისწინებულ იქნეს და მომავალი გამოურკვეველია“. შემდეგ ბონარ ლოუმ სთქვა: „მე იმედი მაქვს, რომ მიუხედავად ყველაფრისა, დიდი ბრიტანეთისათვის ახლო მომავალში შესაძლებელი შეიქნება საქმეში ჩარევა და მისი მოგვარება“.

ახლო აღმოსავლეთში

შეტაკებანი დასავლეთ ფრაკიაში.

ანგორა, 12 თებ. ანგორის გაზეთების ცნობით, ოსმალ-ბოლგართა ნაწილები დასავლეთ ფრაკიაში დაესხნენ ბერძნებს დედე-აგაჩში. ბერძენთა ასი ჯარის-კაცი მოკლულია. იყო შეტაკებები აგრეთვე დასავლეთ ფრაკიის სხვა ნაწილებშიაც.

სამხედრო გემების შესვლის აკრძალვა.

ანგორა, 12 თებ. 7 თებერვლიდან აკრძალულია მოკავშირეთა სამხედრო გემების სმირნის და იზმიდის ნავთსადგურებში შესვლა.

პიროვნების ხელშეუხლებლობა.

ანგორა, 12 თებ. მეჯლისის მიერ მიღებულია კანონი პიროვნების ხელშეუხლებლობის შესახებ. ამ კანონის თანახმად თანამდებობის პირნი, რომლებთაც უკავიათ უმაღლესი პოსტებიც კი, დაისჯებიან ყოველ დაუსაბუთებელ დატყვევებისათვის და პიროვნების თავისუფლების შეზღუდვისათვის.

თავს ანუგეშებენ.

ჰანოვერი, 14 თებ. 13 თებერვალს სტამბოლში ელიან ისმეტ-ფაშას, სადაც, როგორც ფიქრობენ, ინგლისის ელჩი გადასცემს მას კერზონის წერილს საზავო მოლაპარაკების დაწყების დაჩქარების სურვილის შესახებ.

კიდევ იმედი აქვთ.

ბორდო. 14 თებერ. მოლაპარაკება ოსმალეთსა და მოკავშირეთა შორის გრძელდება, და ლონდონში იმედს გამოსთქვამენ მათ სასურველად დამთავრების შესახებ.

არ სურთ სმირნის დატოვება.

ბორდო. 14 თებ. სტამბოლიდან იტყობინებიან, რომ უმაღლესი კომისრები ამზადებენ პასუხს ადნანის ნოტაზე, მოკავშირეთა სამხედრო გემების სმირნიდან გაყვანის შესახებ. ნოტა გადაეცემა ანგორას სასწრაფოდ.

გერმანიის კომპარტიის ყრილობა

მიმართვა საერთაშორისო პროლეტარიატისადმი.

ბერლინი. 30 იანვარი („როსტა“). კომუნისტურმა პარტეიტაგმა ლეიპციგში გამოუშვა მანიფესტი, რომელიც მიმართულია საერთაშორისო და გერმანიის პროლეტარიატისადმი. მანიფესტის შინაარსი შემდეგია: „**რურის ამბები ნიშნავს ომს და თუ პროლეტარიატი არ ამხედრდება მის წინააღმდეგ, მაშინ ის მიიღებს სისხლის მღვრელ ფორმებს. კომუნისტების ლოზუნგი ერთიანი ფრონტის შექმნისათვის პოულობს წინააღმდეგობას სოციალ-დემოკრატებისა და ამსტერდამელების მხრივ.** გერმანიის კაპიტალისტები ამ ჟამად საბოტაჟით ხვდებიან საფრანგეთის თავდასხმას, მაგრამ შეიძლება მათ ანგარიში შეეშალოთ:

პუანკარეს მოთმინება საკმაო აქვს, ბრძოლა გაგრძელდება დიდხანს, პროლეტარიატის და საშუალო კლასების გაჭირვება კოლოსალურად იზრდება. **მთავრობა თავისი ლოზუნგებით ხელს უწყობს ფაშიზმის გაძლიერებას.**

მანიფესტი აყენებს შემდეგ მოთხოვნილებებს:

მუშათა კლასის შეიარაღება, ფაშისტური ტერორის ჩახშობა, წარმოებაზე კონტროლის დაწესება, მუშათა მთავრობის შედგენა, საბჭოთა რუსეთთან კავშირის შეკვრა. მანიფესტი თავდება მოწოდებით გერმანიის პროლეტარიატისადმი, რათა დაიწყონ ბრძოლა იმპერიალისტური თავდასხმის წინააღმდეგ. გერმანიის დაკავებულ ადგილების მუშებმა კი მხარი უნდა დაუჭირონ ამ ბრძოლას კაპიტალისტური მთავრობის ჩამოგდების და მუშათა მთავრობის შედგენის გზით.

ტაქტიკის საკითხები.

გერმანიის კომპარტიის ლეიპციგის პარტეიტაგში კამათი გრძელდება. ანგარიშის შესახებ კამათის დაწყებისას სიტყვას ამბობს ბავარიის ორგანიზაციის წარმომადგენელი ეიზენბერგერი, რომელიც, საერთო პროტესტების მიუხედავად, ანალიზს უკეთებს დღევანდელ კრიზისს, რომელსაც განიცდის ბავარია და პროტესტს აცხადებს ამბებას ყალბი დასურათების წინააღმდეგ, რომელსაც, თითქოს, იძლევა „როტე ფანე“.

შემდეგ გამოდის რუფ ფიშერი, რომელიც ილაშქრებს პარტიის ხელმძღვანელ ორგანიზაციების წინააღმდეგ სასტიკი, გადაჭარბებული ბრალდებებით რურის და ბავარიის საკითხში აბსოლიუტური პასიობის და სისუსტის შესახებ.

დამახასიათებელია თუმცაღა ის, რომ სახელდობრ რეინ-ვესტფალიის სამრეწველო ოლქის დელეგატები, პლენძე და შტოლცენბერგი გამოდიან რურის საკითხში ხელოვნურად-განმტკიცებულ ლოზუნგების წინააღმდეგ მანამდე, სანამ პარტიას ჯერ კიდევ საკმაოდ არ ჰყავთ მასები.

ამ ჟამად ყოველივე მსგავსი გამოსვლა წარმოადგენს საფრთხეს რურის მუშების ნაციონალისტურ ბანაკში გადმოსვლისათვის. შტოლცენბერგი შენიშნავს მემარცხენე ოპოზიციის, რომ ის მუდამ ბრალს სდებს პარტიას არა საკმაო აქტიობაში ნაცვლად იმისა, რომ თვითვე გამოვიდეს გარკვეული ლოზუნგებით. პარტიას ამ ჟამად ესაჭიროება პირველ ყოვლისა ნდობა მის ხელმძღვანელებისადმი.

შემდეგ სხდომაზე გამოდიან დასავლეთ საქსონიის წარმომადგენლები, რომლებიც გადაჭრით სვამენ საკითხს: სადღაა მტერი. და იძულისწინებენ პარტიისაგან მასების ჩამოშორების და მათი ნაციონალურ-სოციალისტების მხარეზე გადასვლის საფრთხეს, თუ პარტიას ლასწამებენ უზომო პასიობას.

პარტიაში არ უნდა იყოს არც მარცხენა, არც მარჯვენა მხარეები.

მეიერი თავის საბოლოო სიტყვაში აღნიშნავს, რომ კამათს არსებითად ახალი არაფერი მოუტანია და პროტესტს აცხადებს ფიშერის სიტყვის ტონის და შინაარსის წინააღმდეგ, რომელიც ლაპარაკობდა მხოლოდ ტენდენციებზე და ვერ შესძლო თავის შეხედულებების დასამტკიცებლათ ვერავითარი საბუთის მოყვანა. მეიერი ენერგიულათ აკრიტიკებს ეიზენბერგერის შეხედულებას ბავარიის მდგომარეობის შესახებ და მას უწოდებს მდგომარეობის სრულ უცოდინარობას. კომუნისტურ პარტიას არავითარ შემთხვევაში არ შეუძლია საერთო რამე ჰქონდეს რომელიმე კნილლიცთან. ნაციონალ-სოციალისტების შემდეგი წინააღმდეგობით მთავრობა წავა დათმობაზე, რისთვისაც უმთავრეს ამოცანას უნდა შეადგენდეს **პროლეტარიატის თავდაცვის ორგანიზაცია.** მეიერს გაჰყავს პარალელი რურის მუშების და რუსეთის ბოლშევიკების მდგომარეობის შორის, რომელთაც ერთსა და იმავე დროს ბრძოლა უნდა ეწარმოებიათ ცარიზმის და გერმანიის ოკუპაციის წინააღმდეგ.

ამხ. ცეტკინის მოხსენება კომინტერნის მე-4-ე კონგრესის შესახებ

პარტეიტაგის უკანასკნელ სხდომაზე კლარა ცეტკინი აკეთებს მოხსენებას კომინტერნის მე-4-ე კონგრესის შესახებ. ორატორი ჩერდება უმთავრესად კომპარტიის ტაქტიკის საკითხებზე და ანვითარებს მუშათა მთავრობის შექმნის იდეას. მისი სიტყვის დროს მიღებულია ცნობა საქსონიის მთავრობის გადადგომის შესახებ, რომელსაც ყრილობა შეხვდა მოწონების ძლიერი ხმებით.

საქსონიის ლანდტაგმა მიიღო ხმის უმეტესობით კომუნისტ ბეტხერის მიერ შეტანილი და დაწვრილებით დასაბუთებული უნდობლობის ვოტუმი საქსონიის პრემიერ ლიპინსკისადმი, რომელიც ამას წინად გამოვიდა საქსონიის ლანდტაგში საპროგრამო სიტყვით კომუნისტების წინააღმდეგ. ბეტხერმა გამოააშკარავა საქსონიის მთავრობის საიდუმლო საქმიანობა და დაჟინებით მოითხოვა ახალი მთავრობის შექმნა საქსონიის ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების მონაწილეობით.

კამათი მუშათა მთავრობის და პროფესიონალური მოძრაობის შესახებ.

გერმანიის კომპარტიის ლეიპციგის ყრილობაზე ბრანდლერმა წარმოსთქვა ვრცელი სიტყვა ერთიანი ფრონტის და მუშათა მთავრობის საკითხების შესახებ.

თავის სიტყვის დასასრულს ბრანდლერმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა გერმანია შესძლებდა საფრანგეთის იმპერიალიზმის წინააღმდეგ სულ სხვა ძალების დარაზმვას, ვინემ ბურჟუაზიული მთავრობა და მოიგონა შავს ზღვაზე საფრანგეთის მეზღვაურების აჯანყება, არხანგელსკში ინგლის-ამერიკის ჯარის კაცების მიერ დამორჩილებაზე უარის თქმა. ბრანდლერის საბოლოო სიტყვას შეხვდენ ხანგრძლივი ტაშით.

ყრილობამ მოიწონა პროფინტერნის მეორე კონგრესის ყველა დადგენილებანი პროფკავშირების შესახებ.

ცეკას არჩევნები.

გერმანიის კომპარტიის ლეიპციგის ყრილობაზე არჩეულია პარტიის ახალი ცენტრალური კომიტეტი. ცეკას სიის კანდიდატებმა მიიღეს 150 დან 195 ხმამდე.

თეზისები ერთიან ფრონტის და მუშათა მთავრობის შესახებ მიღებულია ყრილობაზე 118 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 59-სა.

მდგომარეობა იტალიაში

კომუნისტების დაპატიმრება.

რომი. 14 თებერვალი. იტალიაში აღმოჩენილ შეთქმულების დაკავშირებით დაპატიმრებულია დაახლოვებით 1.000 კომუნისტი.

დაპატიმრებანი.

რომი. 14 თებერ. გენუაში დაპატიმრებულია კოიუნისტი ანტონიო პოლიტი, ანარქისტი ვიქტორ ბიჯელი უკანასკნელ შეთქმულობაში მონაწილეობის შესახებ ეჭვის გამო.

რეჯიოში დაპატიმრებულია ქალაქის ყოფილი მერი დომენიკო კავეკი და ჩელიფერსი. უკანასკნელ შეთქმულების გამო ქალაქში ხდება ჩხრეკა სხვა და სხვა პირთა, რომლებაც ბრალი ედებათ ანტისახელმწიფოებრივ პროპაგანდაში. გაჩხრეკამ აღმოაჩინა მრავალი ამუნიცია, იარაღი და ასაფეთქებელი მასალა.

ირლანდიაში

სამოქალაქო ომი

ჰანოვერი. 14 თებერ. გარეშე საქმეთა მინისტრის ძმა ხივგინსი მოკლულია დუბლინში აჯანყებულთა შეიარაღებულ ბრბოს მიერ.

საეჭვოა

ბორდო. 14 თებერვ. ირლანდიის რესპუბლიკის პრეზიდენტმა კოსგრევმა განუცხადა „ივნინგ ნიუზ"-ის წარმომადგენელს, რომ აჯანყებულებმა, როგორც სჩანს დაბოლოს გადაწყვიტეს იარაღის დაყრა.

სხვადასხვა ამბები

ტრიესტის ბაზრობის ხანძარი.

ბორდო. 14 თებერვ. თანახმად რომის ცნობებისა—ტრიესტის ბაზრობის პავილიონების სამი მეოთხედი განადგურებულია ხანძარისაგან. დანარჩენი პავილიონები დანგრეულ უნდა იქნეს ცეცხლის გაქრობის მიზნით. ზარალი აუარებელია.

განიარაღება.

ჰანოვერი. 14 თებერვ. „მატენი" იტყობინება რომ საზღვაო სამინისტროს ახალი ხარჯთ-აღრიცხვა გულისხმობს საფრანგეთის სამხედრო ფლოტის გადიდებას 20 წ. 700.000 ტონით.

ყვითელი ინტერნაციონალი მუშათა მოძრაობის წინააღმდეგ.

ჰანოვერი. 14 თებერვ. ამსტერდამის ინტერნაციონალის პასუხის მგებელ მდივანმა მაინის ფრანფურკტში განაცხადა, რომ მუშათა პარტიების უორგანიზაციობის გამო საერთო გაფიცვის მოწყობა ყოვლად მოუხერხებელია.

ამერიკა და ინგლისი.

ლონდონი. 14 თებერვ. ვაშინგტონიდან იტყობინებიან, რომ დღეს შეერთებულ შტატების სენატში დაიწყო განხილვა ინგლისის და ამერიკას შორის შეთანხმება ბრიტანეთის ვალის კონსოლიდაციის შესახებ.

წყალდიდობა ბუდაპეშტში.

რომი. 14 თებერვ. დიდი წყალდიდობის გამო, რომელიც გამოწვეულია დუნაის უდროვოთ გადიდებისაგან, ბუდაპეშტის ახლო-მახლო ადგილები დიდ მანძილზე დაფარულია წყლით. ბევრია ადამიანების მსხვერპლი. ზარალი უამრავია.

მუსოლინი და ვატიკანი.

რომი. 14 თებერვ. მუსოლინმა განაცხადა, რომ მას მხურვალედ სურს იტალიის მთავრობისა და ვატიკანის დაახლოვება და ენერგიულად მუშაობს ამ მიმართულებით.

სანტა-მარგარიტის ხელშეკრულება.

რომი. 14 თებერვ. იტალიის პარლამენტმა მოიწონა ხელშეკრულება, რომელიც დაიდო სანტა-მარგარიტაში იტალიასა და სამხრეთ-სლავიის შორის.

ხელშეკრულებას ხმა მისცა 245 წინააღმდეგ 20.

არაჩვეულებრივი მოვლენა.

ბორდო. 14 თებერვ. ხმელთაშუა ზღვაზე ხდება არაჩვეულებრივი მოვლენა. ნაპირებთან ადგილობრივათ ის გაიყინა. მარსელში გემებს არ აქვთ საშუალება გამოვიდენ ნავთსადგურიდან ყინულის ბელტების გამო.

წითელ რადიოგრამებში

რუსეთი

წითელი არმიის 5 წლის თავზე.

მოსკოვი. 14 თებერვ. პოლიტიკურ განათლების მთავარმა სასამართლომ დაავალა საგუბერნიო და სამაზრო პოლიტ. განათლების ორგანოებს სამხედრო კომისარიატებისა და პარტიულ კომიტეტებთან ერთად მონაწილეობა მიიღონ წითელ არმის 5 წლის თავის დღესასწაულში.

შემნახველი კასები.

მოსკოვი. 14 თებ. კრასნოპრემნის შემნახველ კასას დაწესების შემდეგ ფინანსთა სახალხო კომისარიატმა ასეთივე კასები მოსკოვის ყველა მუშათა რაიონში დაარსა. კასები აწარმოებენ თავის ოპერაციებს მუშებისათვის ხელსაყრელ დროს და მოკლებული არიან ყოველგვარ ფორმალურ დაბრკოლებას.

8 მარტის დღესასწაულისათვის.

მოსკოვი. 14 თებერვალი. მიმდინარე წლის 8 მარტისათვის მუშა-ქალებს შემდეგი ლოზუნგები ექნებათ: მუშა-ქალების კვალიფიკაციის გაძლიერება, მათი შეყვანა პროფესიონალურ და ტეხნიკურ სკოლებში.

საბჭოთა აღმოსავლეთის ქვეყნებში წამოყენებული უნდა იქნეს ქალთა მდგომარეობასთან დაკავშირებული საკითხები, ქალის მონურ მდგომარეობისაგან გამომდინარე ჩვეულებებთან ბრძოლის ლოზუნგები.

სასოფლო-სამეურნეო ეკონომიის ფაკულტეტი.

მოსკოვი. 14 თებერვალი. პეტრე რაზუმოვის აკადემიასთან გაიხსნა სასოფლო-სამეურნეო ეკონომიის და პოლიტიკის ფაკულტეტი, რომელსაც მიზნათ აქვს სასოფლო-სამეურნეო მოოპერაციის მაღალ-კვალიფიციური ორგანიზატორების მომზადება. ფაკულტეტის ყველა ვაკანსიები შევსებული.

საზღვარ გარეთელი მუშები რუსეთში

რუსეთის მუშები დიდის ინტერესით ადევნებენ თვალ-ყურს „ამერიკელების" მუშაობას, რომელნიც ამ ცოტა ხნის წინად ჩამოვიდნენ რუსეთში და უკვე შექმნეს მთელი რიგი სამრეწველო ორგანიზაციებისა. აქამდე რუსეთში ჩამოვიდა 15 ჯგუფი სხვა და სხვა სპეციალობის მუშებისა.

ჯგუფები, რომელნიც რუსეთში ჩამოდიან, ჩვეულებრივად შეიარაღებული არიან არა მარტო ტეხნიკური ცოდნით და გამოცდილებით, არამედ თავისი სპეციალობის დარგის საუკეთესო მანქანებითაც. მუშებმა დაარსეს რამოდენიმე სასოფლო მეურნეობის არტელი, „კომუნა", რომელთაც მუშაობა დაიწყეს საბჭოთა მეურნეობის ორგანოებში და უკვე მიაღწიეს მნიშვნელოვან შედეგს.

ასე მაგალითად 46 კაცისაგან შემდგარმა კომუნამ, რომელიც ჩამოვიდა კირსანოვოში (ტამბოვის გუბ.) წარსული წლის აპრილის დამლევს დათესა ანეული 173 დესეტინა, შეკრიბა ზაფხულში 12 ათასი ფუთი თივა, შეაკეთა სახლები, მოაწყო სადურგლო და სხვა სახელოსნოები. შემოდგომაზე იმავე კომუნამ დათესა 120 დესიატინა საზამთრო პური და დახნა 400 დესეტინა მიწა. კომუნამ ჩამოიტანა ტრაქტორები, სატვირთავი ავტომობილები, სახნისები და მთელი რიგი სხვა მანქანებისა. ადგილობრივი გლეხობა დიდის ინტერესით ადევნებს თვალ-ყურს კომუნის მუშაობას, რომელიც არის მაგალითის მიმცემი, მიწის ახალი საშუალებებით დამუშავების გამტარებელი.

ასეთივე მუშაობა გააჩაღა კანადის პირველმა არტელმა მიგაევოს საბჭოთა მეურნეობაში (ოდესის გუბერნია). და სპეციალურმა სატრაქტორო ჯგუფმა პერმის გუბერნიაში. უკანასკნელმა ჩამოიტანა 21 ტრაქტორი და მთელი რიგი სხვა ძლიერი მანქანებისა. მიუხედავად აუარებელ დაბრკოლებათა, მან ორი თვის განმავლობაში დათესა ათასი დესიატინა და დახნა ანეულისათვის 400 დესიატინა.

არა ნაკლებ მნიშვნელოვანია სხვა ჯგუფების მუშაობა. ასე მაგალითად ამერიკელ მუშებს გადაეცათ დასამუშავებლად ნადეჟდინის რაიონი ურალზე და კუზნეცის აუზი ციმბირში.

ასევე ენერგიულად მუშაობს ამერიკელ სამთამადნო მუშების არტელი დონის აუზში.

დამახასიათებელია აგრეთვე მოსკოვის სამკერვალო ფაბრიკის მუშაობა. ამერიკელებმა ჩამოიტანეს ფაბრიკის მოწყობილობა, რომელიც მათ უძღვნეს რუს ამხანაგებს; ამ ჟამად ფაბრიკა შეკერვის ყველა ოპერაციებს მანქანებით აწარმოებს.

საუბარი ამხ. ნიუბოლდთან *)

პარლამენტის დამოკიდებულება ჩემდამი.

— ჩემი არჩევა თემთა პალატაში მოულოდნელი იყო არა მარტო ბურჟუაზიისათვის, არამედ მუშათა პარტიისათვისაც. მუშათა პარტიას აზრათაც არ მოსვლია, რომ კომუნისტს შეეძლო მიეღო უმრავლესობა ინგლისში, კომუნისტს, რომელიც გამოდიოდა წმინდა კომუნისტური პროგრამით და მოკლებული იყო დახმარებას ოფიციალურ „მუშათა პარტიის" მხრივ. მაგრამ ამავე დროს, არჩევნების დროს, მე მივიღე ორჯერ მეტი ხმები, ვიდრე 1918 წ., როდესაც მე ვიყავი მუშათა პარტიის ოფიციალური კანდიდატი. ჩემმა არჩევამ ორნაირი შთაბეჭდილება მოახდინა მუშათა პარტიაზე. უფრო რადიკალური ნაწილი, ლესნბურის მეთაურობით, კმაყოფილი იყო შედეგებით. ლენსბური ხედავდა ჩემ გამარჯვებაში იმის დამამტკიცებელ ფაქტს, რომ გაბედული მოთხოვნილებანი სრულიადაც არ აშინებს უბრალო მუშა-ამომრჩეველს. მუშათა პარტიის მეორე ნაწილი კი—რამზეი მაკდონალდის მეთაურობით, ძალიან შეძრწუნებული იყო. „მისი უდიდებულესობის ოპოზიციის" ლიდერს არაფრად ესიამოვნება თავის გვერდით კომუნისტის ყოფნა, რომელსაც ყოველ წუთში შეუძლია გამოამჟღავნოს მისი ბურჟუაზიასთან შეთანხმებული გეგმები და პროლეტარიატის ღალატი.

ბურჟუაზიული დეპუტატები ჩემ გამოჩენას სადეპუტატო სკამზე პირველად ცნობის მოყვარეობით შეხვდენ. „ვნახოთ რას იტყვის ეს უცნაური მხეციო?" ისინი იმედოვნებდენ, რომ მე ჩემ საპარლამენტო კარიერას სკანდალით დავიწყებდი. უნდა ვსთქვა, რომ მაკდონალდის სექციასაც სურდა, რომ „სასკანდალო საქმე" ჩამედინა. მაგრამ მე გავუცრუვე იმედები ბურჟუაზიასაც და მომავალ პრემიერსაც. ჩემ პირველი გამოსვლის დროს მოწინააღმდეგენი ჩვეულებრივად შეეცადენ ხელის შეშლას, მაგრამ ამას სკანდალის ხასიათი არ მიუღია.

ბრძოლა უმუშევრობასთან.

წარსულ სესიაში პარლამენტის ყურადღება მიქცეული იყო უმუშევრობის პრობლემაზე. ოფიციალური მუშათა პარტია აკრიტიკებდა მთავრობის მოქმედებას. მთელი კრიტიკა მდგომარეობდა იმაში, რომ მთავრობას არ გააჩნია არავითარი სისტემა უმუშევრობასთან ბრძოლის დროს, მაგრამ ეს კრიტიკა არ არის მეცნიერული და მარქსისტული კრიტიკა. მთავრობას აქვს „სისტემა" და ამასთანავე ნაცადიც. **იგი იბრძვის არა უმუშევრობის, არამედ უმუშევართა წინააღმდეგ.**

მოკლეთ მთელი ეს სისტემა მდგომარეობს იმაში, რომ უმუშევართა ხელფასი საზოგადოებრივ სამუშაოებში უნდა იყოს ჩვეულებრივ ხელფასის მინიმუმზე უფრო მცირე და ამის მიხედვით ყველა მუშების ხელფასისა დონეც თან და თან უნდა შემცირდეს; მეორე—საზოგადოებრივი სამუშაოები ჩვეულებრივ ეძლევა ამა თუ იმ ადგილის უმუშევართა ერთ მეათედს იმ ანგარიშით, რომ მუშები იძულებული გახდენ ადგილებს გამოეკიდონ და ამით დეზორგანიზაცია შეიტანონ პროფკავშირებში. და ბოლოს მთავრობის დახმარება ეძლევა უმუშევრებს კერძო პირთა საშუალებით იმ მიზნით კი არა, რომ უმუშევრებს ხვედრი შეუმსუბუქონ, არამედ მოგება მისცენ მოიჯარადრებს, რომელთაც შემოსავალი მოაკლდათ მუშაობის შეჩერების გამო.

რაც შეეხება უმუშევართა მოძრაობას, იგი უეჭველად იღებს ახალ ფორმებს. უმუშევართა ლონდონზე გალაშქრებამ დიდი სააგიტაციო როლი ითამაშა, და დღევანდელ მომენტში ამ გალაშქრების მხოლოდ რევოლიუციონურ ენერგიის დაქაქსვა შეუძლია. ამ ჟამად ჩვენი ცდა მიმართულია იქითკენ, რათა განვამტკიცოთ უმუშევართა ადგილობრივი ორგანიზაციები და დაუკავშიროთ ისინი პროფკავშირებს და კოოპერატივებს. ჩვენ მოვითხოვთ დეპუტატებისაგან ანგარიშს მიუხედავათ იმისა, თუ რომელ პარტიის ეკუთვნის პარლამენტის ესა თუ ის წევრი: კონსერვატორია იგი, ლიბერალია თუ მუშა. ჩვენ დარწმუნებული ვართ იმაში, რომ ანგარიშების ასეთი მეთოდი სახელს უტეხავს დეპუტატებს, ვინაიდგან არავითარი რეალური დახმარების აღმოჩენა პარლამენტს არ შეუძლია,

პროლეტარიატის დამოკიდებულება რურის ოკუპაციისადმი.

ამ უკანასკნელი მიზეზების გამო, არ შეიძლება მოველოდეთ, რომ ორი წლის უმუშევრობით ილაჯგაწყვეტილი მუშები გამოიჩენენ ენერგიას რურის ოლქის ოკუპაციის წინააღმდეგ ბრძოლაში. ეს ოკუპაცია ფრიად ხელსაყრელია ინგლისის მრეწველობისათვის და ბევრი მუშები მზად არიან ისარგებლონ გერმანიის და საფრანგეთის მრეწველობის დეზორგანიზაციის ნაყოფით, და არ ითვალისწინებენ, რომ მათ კიდევ უფრო საშინელი უმუშევრობა მოელით ახლო მომავალში.

მოსკოვი და ევროპის სხვა დედაქალაქები.

— თქვენ მეკითხებით რას ვფიქრობ მე მოსკოვზე?

მე გზათ გავიარე მოსკოვზე. ბრიუსელი, ამსტერდამი, ესსენი დ ბერლინის და ვარშავაში მოგზაურობის დროს არსად მე არ მინახავს ისეთი საღი გამოცოცხლება, როგორც მოსკოვში.

განსაკუთრებით აშკარაა ბერლინთან განსხვავება. მოსკოვში დარწმუნებული ხარ ხვალინდელ დღეში. გრძნობ წესწყობილების სიმტკიცეს. არ არის ის შეწუხებული გამომეტყველება, რომელიც თვითეულ ბერლინელის სახეზეა აღბეჭდილი. მთელ ბერლინს უკმაყოფილება და უილაჯობა ეტყობა. განსაკუთრებით თვალში გეჩხირება იმ ბურჟუაზიის გაქრობა, რომელიც ევროპის სატახტო ქალაქებს ახასიათებს. კლასიური ტიპები მოსკოვში გაქრენ. ადამიანები თითქოს ერთფეროვანი გახდენ.

წითელი არმია.

— მაგრამ განსაკუთრებით მახარებს მე,—დაამთავრა ამხ. ნიუბოლდმა,—**წითელი არმიის მდგომარეობა.** სიმტკიცე, დისციპლინა და შეგნება უძლეველ ძალას აძლევს მას.

უცხოეთის ცხოვრება

მუსსოლინის ბრძოლა კომუნისტების წინააღმდეგ,

როდესაც ფაშისტ-პრემიერის ცდა მოექცია იტალიის მუშათა მოძრაობა ფაშისტურ კალაპოტში უშედეგოდ დამთავრდა, მუსსოლინმა მიმართა დასავლეთ ევროპის სხვა სახელმწიფოებში ნაცად მუშათა რევოლიუციონურ ორგანიზაციების წინააღმდეგ ბრძოლის ძველ საშუალებებს. ის ბრალს სდებს მათ იმაში, რომ ისინი სავსებით და მონურად ემორჩილებიან მოსკოვს ე. ი. მესამე ინტერნაციონალის აღმასკომს და რომ მათი ბელადები და ხელმძღვანელნი უცხოეთის მთავრობის მიერ მოსყიდული აგენტებია.

მუსსოლინის ასეთი გამოსვლის საბაბი იყო კომინტერნის უკანასკნელი მიმართვა იტალიის კომუნისტური პარტიისადმი, სადაც კომინტერნი მოუწოდებს ამ პარტიას ფაშისტური მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლასთან ერთად აწარმოოს ბრძოლა სოციალისტურ პარტიისა და რეფორმისტულ პროფესიონალურ ორგანიზაციების წინააღმდეგ. მუსსოლინი ცდილობს გამოიყენოს ეს მომენტი და ორი სოციალისტური და კომუნისტური უბედურებისაგან არჩევს უფრო ნაკლებს, ე. ი. პირველს, აცხადებს რა, რომ მეორე მოძრაობის ხელმძღვანელები უცხოეთის აგენტები არიან. ამ თავის თვალსაზრისს მუსოლინი ატარებს ისე ლოღიკურად, რომ ამ დღეებში მან აკრძალა კომუნისტ-დეპუტატის მიერ მოწვეული ბინის დამქირავებელთა კრება. თავის წერილში მუსსოლინმა ამ დეპუტატ რუბოლდის „დაქირავებული აგენტი" უწოდა, ალბად იმ იმედით, რომ წვრილ ბურჟუაზიულ წრეებში, რომელზედაც იყო ლაპარაკი ამ შემთხვევაში, ეს სახელი საშიშარ შთაბეჭდილებას მოახდენს. მაგრამ, იტალიიდან მიღებულ უკანასკნელ ცნობების მიხედვით, მუსსოლინის სამხედრო ყიჟინა „მოსკოვის წინააღმდეგ" დიდ გამოძახილს ვერ პოულობს. ეს მოძველებული ხერხია და მისი განახლება იტალია ი ვერ გაანთავისუფლებს ფაშისტური მთავრობის ბელადს თანამედროვე იტალიის სოციალური საკითხების უფრო სერიოზულად განხილვისაგან, საკითხების, რომელნიც კიდევ უფრო გამწვავდენ გადატრიალების შემდეგ. ფაშისტებს შორის ბევრი მუშებია—ეს უცილოა. მაგრამ სწორედ ამ ელემენტის მონაწილეობა მოძრაობაში განსაკუთრებით აწუხებს მუსსოლინს.

ამიერ კავკასიის ფედერაციაში

საქართველო

აჭარა

აჭარას აღმასკომმა იკისრა აჭარის ღარიბღატაკთა ცენ-ბიუროს და პარტიული შკოლის შენახვა.

სკოლები მაზრებში. იანვრის უკანასკნელ რიცხვებში სახ. გან. კომ. მიერ გახსნილია პირველი საფეხურის ახალი სკოლები აჭარისტანის სხვადასხვა რაიონებში: ორჩხაბა აგარათსა, ვაისა და დინდალოში. ყველა ამ სკოლაში სწავლა ოსმალურ ენაზე სწარმოებს.

სახ. გან. განყოფილებაში. აჭარის სახ. გან. კომ. შტატის მომუშავეთა საერთო რიცხვი 422 კაცს აღწევს, ამათგან მაზრებში მუშაობს 225 კაცი.

აზერბეიჯანი

ბაქოს საბჭოს სამხედრო სექცია. შესდგა ბაქოს საბჭოს სამხედრო სექციის პირველი საორგანიზაციო სხდომა. სექციაში ჩაეწერენ 60 დეპუტატი, უმთავრესათ წითელ არმიელები და მეზღვაურები. როგორც ბაქოს საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. კრილოვმა აღნიშნა თავის მოხსენებაში, სამხედრო სექციამ მიიღო თავის თავზე არმიის და ფლოტის ცხოვრების გაუმჯობესობის ზომების განხორციელება გაცილებით უფრო ვრცელ მაშტაბით ვიდრე წარსულში. ამ მომენტში სექციის ძირითადი ამოცანაა მთელი ყურადღება მიაპყროს წითელ არმიელის მდგომარეობას ყაზარმაში. უნდა იქნეს დამუშავებული სექციის მოქმედების განსაზღვრული გეგმა და გამონახული რეალური საშუალებანი არმიის და ფლოტის ცხოვრების გასაუმჯობესებლათ. მიღებულია წინადადება პეტროგრადის და მოსკოვის საბჭოების სამხედრო სექციებთან დაკავშირების შესახებ, რათა გამოყენებული იქნას მათი მუშაობის გამოცდილებანი.

გადაწყვეტილია გაავრცელონ სექციის გავლენა სამხედრო ნაწილებზე, ლენქორანში, კუბეში და სხვა ქალაქებში და შექმნან იქ ამგვარი ორგანიზაციები.

მიღებულია წინადადება სამხედრო-სექციის წევრების ცალკე ნაწილებთან მიწერის შესახებ.

თესვის კამპანია. აგდაშიდან იტყობინებიან, რომ გადაწყვეტილია გაზაფხულის ნათესის მოედანის გადიდება 11,000 დესეტინამდე. მოთხოვნილია 6.158 ფუთი სხვა და სხვა თესლი. ნუხიდან იტყობინებიან, რომ გლეხებს აკლიათ თესლი გაზაფხულის ნათესისათვის.

სასწავლებლების რემონტი. აგდაშში მიღებულია სასწავლებლების რემონტისათვის სააღმშენებლო მასალა. ხდება რეგისტრაცია იმ შენობების, რომელთაც ესაჭიროება რემონტი. კუბინის მაზრაში სასწავლებლების რემონტი მიმდინარეობს წარმატებით. თავდება მუშაობა რვა სასწავლებელში. რჩება კიდევ სარემონტოთ 4 სასწავლებელი. ნუხის მაზრაში სასწავლებლების რემონტისათვის მობილიზაცია უყვეს ყველა მაზრაში მყოფ სპეციალისტებს. მუშაობა დაწყებულია და მიმდინარეობს დაჩქარებული ტემპით.

სომხეთი

ერევანი 13 თებერვ. **ბანდიტიზმის ლიკვიდაცია.** შამშადინსკის ავაზაკური ბანდის ლიკვიდაციის შემდეგ დაიწყო ბარანინსკის ბანდის დევნა, რომელიც თარეშობდა დელიჟანის მაზრაში. თანახმათ 12 თებერვალ მიღებულ ცნობებისა ბარანინსკის ბ კა მოსპობილია, დაჭერილია 15 ცი. შამშადინსკის და ბარანინს ბანდები იყვნენ მეფის და დაშნ ბის დროის ავაზაკების უკანასკ ნაშთები. დელიჟანის მაზრა სავსე გაწმენდილია ავაზაკებისაგან. ზ აღრფთოვანებაშია და დღესასწა ობს ბანდიტიზმის ლიკვიდაციას.

მეაბრეშუმეობა განვითარ მიწათ-მოქმედების სახალხო კომ რიატის მეაბრეშუმეობის სად გაიხსნა ჯერ კიდევ გასულ წელს. აბრეშუმეობის გავრცელების პირ მა ცდებმა მოგვცეს დამაკმაყოფ ბელი შედეგები. მიმდინარე წლ მიწათ-მოქმედების სახალხო კომ რიატის მიერ დამზადებულია კოლოფი თეთრი ბაღდადის თეს ომამდე სომხეთის წარმოება უდრ 200.000 კილო პარკს, რომელიც დიოდა რუსეთში. შემდეგ ომიან დროს მეაბრეშუმეობა საბოლოო მნა მოსპობილი გარდა მეგრინის იონისა. მიმდინარე წელში მეაბრ შუმეობა აღდგენილი უნდა იქნ მარლინის, ეჩმიადზინის, აშტარაკ და ჯავახეთის რაიონებში, რის საც მიღებულია სასწრაფო და გა უდებელი ზომები.

მებამბეობის კამპანია. მებამბ ბის კამპანია მიმდინარეობს აჩქა ბული ტემპით. ყოველგან უპარ თათბირებზე გლეხები გამოსთქვ თავის მხურვალე სურვილს გან თარონ ბამბის წარმოება უკიდ შესაძლებლობამდე.

მიხა ცხაკაიას

შენ მდიდარ სულში ასვენია ბევრი [illegible]
ქარიან ღამის მწუხარება როცა ბევრია,
არ გაშინებდა მოლოდინი, [illegible]
ვით დიდ სარდალებს ომში ხმალი რომ გასტეხია.

და გული ბევრჯელ დაკოდილი და გამხილი
მძიმე საკანში გარიჟრაჟის ელვას ელოდა;
იყო ქაოსი, მწუხარება, ისევ ბნელოდა,
სულს აწვალებდა დაღამების ფიქრის გრეხილი.

დღეს ღიმით უმზერ ამ საწუთროს, ვერცხლის ჭაღარა,
ყველა წარსული მომავალის ბედმა დაფარა...
ჩვენი ცხოვრების მზე-ეკრანზე ბრწყინავს სახელი,
შენი სახელი ბევრი გრძნობის გამომსახველი...

ევგენი ბაკურაძე.

12 თებერვალი, 1923 წ. ქ. თბილისი.

განათლების განყოფილებათა გამგე ბის მესამე ყრილობა

ამხ. მარიამ ორახელაშვილის მოხსენება სოციალური აღზრდის შესა

(პირველი სხდომის გაგრძელება).

თეზისები:

1. ბურჟუაზიული სახელმწიფო ხასიათდება იმით, რომ ბავშვის აღზრდის საკითხი მისთვის სრულებით არ არსებობს. აღზრდის საქმე მათთვის მთლიანათ—კერძო საქმეა და პირველ ყოვლისა ის ოჯახურ საქმეთ არის მიჩნეული. სახელმწიფოს მზრუნველობის ერთად-ერთი ფორმა ბავშვებზე, ერთად ერთი ორგანიზაციული ფორმა ბავშთა ასაკის აღსაზრდელად იყო სკოლა, რომელიც წარმოდგენილი ჰქონდათ რაღაც დამატებათ, რაიც სწვრთნიდა მოწაფეს მხოლოდ ოჯახურ აღზრდის მხრივ.

2. ოჯახი, რომელიც ითვლებოდა აღზრდის ერთად ერთ გამოსავალ პუნქტად, ვერაფრით ვერ აკმაყოფილებდა თავის ბუნებით ახალ სკოლის სისტემას. ოჯახის უხეში ინდივიდუალური ტენდეციები იმყოფებიან შეურიგებელ წინააღმდეგობაში სოც. აღზრდის კოლექტიურ ტენდენციებთან. მეორე მხრივ, კაპიტალისტურ მეურნეობის პირობები ფიზიკურად არღვევდენ, როგორც მუშების, ისე ინტელიგენციის ოჯახებს, ისრო მშობლებს სამუშაოზე და ამით ქ დენ ისეთ მდგომარეობას, რომ შები სრულიად მზრუნველობის გ შე იყვნენ. იმპერიალისტურ და მოქალაქო ომების შექმნილ პირ ბით წარმოიშვა მრავალი ობლებისა და ნახევრად ობოლ შვების. მასიური სკოლა, რასაკვი ლია, გვერდს უვლიდა ჯგუფ სუსტ ბავშების მოსახლეობას მზრუნველობის გარეშე მყოფ ბავ უყურადღებოთ ტოვებდა.

3. თანამედროვე პედაგოგიურ ცნიერება მოითხოვს ახალ მოტ ახალ პირობებს, რათა ამ წესით უდგეთ რაციონალურათ ბავშ აღზრდას, მათზე ზრუნვა უნდა ყებულიყო უფრო ადრე, ვინ იყო აქამდე. ხასიათი, უმთავრესი მოვლენები, ჩვეულება და უნარი ყება და ვითარდება ბავშის ჰას 3 წლიდან, აქედან ცხადია, მათზე ზრუნვა უნდა დავიწყოთ კოლო ჰასაკამდე პერიოდში.

წითელი არმიის 5 წლის თავზე

თეზისები.

წითელი არმიის ორგანიზაციის საფუძვლები.

1. 1923 წლის 23 თებერვალს წითელი არმია დღესასწაულობს თავის არსებობის 5 წლის თავს. ეს დღე არის საბჭოთა რუსეთის ყველა მშრომელთა დღესასწაული, რადგან ჩვენი მუშურ-გლეხური წითელი არმია—არის ოქტომბრის რევოლიუციის პირმშო შვილი, მუშათა და გლეხთა სისხლი და ხორცი.

2. წითელი არმიის 5 წლის თავი არის მთელი მსოფლიო პროლეტარიატის დღესასწაული.

3. წითელი არმია კაცობრიობის ისტორიაში პირველი მუშურ-გლეხური არმია, იცავს მშრომელთა და ჩაგრულთა ინტერესებს და თავისი იერიშებით მიმართავს ექსპლოატატორების და მჩაგვრელების წინააღმდეგ.

4. წითელი არმიის გარეშე მუშებს და გლეხებს არ შეეძლოთ გამარჯვების მოპოვება თავიანთ ბრძოლაში.

5. კლასიური ბრძოლა რევოლიუციის დროს იღებს სამოქალაქო ომის შეიარაღებულ შეტაკების ფორმას. მებრძოლი კლასები ამზადებენ თავიანთ კლასიურ შეიარაღებულ ძალას. წითელი არმია არის მუშათა კლასის შეიარაღებული ძალა, პროლეტარულ რევოლიუციის დროს.

წითელი გვარდია.

6. მუშათა კლასის შეიარაღება სწარმოებდა თებერვლის რევოლიუციის პირველსავე დღიდან. კერენსკის ხანაში გამწვავებული კლასიური ბრძოლა იწვევს ერთის მხრივ, კაპიტალისტების და მემამულეების მიერ მათი კლასიური შეიარაღებული ძალის შექნას (დამკვრელთა რაზმები, იუნკრები, გიორგის კავალრები და სხვა): მეორე მხრივ, პროლეტარიატი ბოლშევიკების პარტიის ხელმძღვანელობით აწყობს თავის მუშურ წითელ გვარდიას, და იმავე პარტიის ცეკას სამხედრო ორგანიზაციის ხელმძღვანელობით სცდილობს გააერთიანოს ძველი არმიის მტკიცე რევოლიუციონური ელემენტები. წითელი გვარდიის შედგენა სწარმოებს მეტად მძიმე პირობებში, იგი ხდება სასტიკ წინააღმდეგობას არა მარტო კერენსკის დროებით მთავრობის, შემთანხმებელ მენშევიკურ საბჭოების მხრივ, რომელნიც დახმარებას უწევდენ კაპიტალისტების ძალაუფლებას.

7. მიუხედავად კონტრ-რევოლიუციის ცდისა, განეიარაღებიათ მუშები სისხლის მღვრელ ივლისის დღეებში, წითელი გვარდია იზრდება, მტკიცდება და იზიდავს თავის რიგებში რევოლიუციონურ მუშების, ჯარის-კაცების და მატროსების საუკეთესო ძალებს. გენ. კორნილოვის ავანტიურამ, რომელმაც გამოიწვია გაბედული წინააღმდეგობა მშრომელ მასების მხრივ, მნიშვნელოვნად განამტკიცა წითელი გვარდიის ძალები.

8. ოქტომბრის გადატრიალება მოახდინა წითელმა გვარდიამ ძველი დაშლილი არმიის სუსტი მონაწილეობით. ამ დროისათვის, წითელ გვარდიას პეტროგრადში ჰყავდა თავის რიგებში 12—14 ათასი კაცი, არტილერიით, ტყვიის-მფრქვევლებით და ჯავშნიანი მატარებლით.

მოსკოვში წითელი გვარდიის შედგენა უფრო სუსტად სწარმოებს (ოქტობრისათვის მას ჰყავდა დაახლოვებით 3.000 კაცი) ამიტომაც ბრძოლა ოქტომბერში მთელი კვირა გრძელდება და გამარჯვება ხან ერთ და ხან მეორე მხარეზე იყო.

წითელი გვარდიის რაზმები ეწყობიან ყველა მუშათა რაიონებში.

9. მუშათა წითელი გვარდია ადვილად იმარჯვებს შინაურ კონტრრევოლიუციაზე ცენტრში (1 ნოემბერს პიტერთან კერენსკის და კრასნოვის ყაზახებზე: კრასნოვი ტყვედ წამოიყვანეს). შემდეგ ბრძოლა გადადის განაპირა კუთხეებში სადაც კონტრ-რევოლიუციას ქონდა დასაყრდნობი ნაკლებ პროლეტარულ რაიონებში, აქაც წითელი გვარდია იმარჯვებს. ასე მაგ. დეკემბერში კურსკის გუბერნიაში დამარცხებული იქნა 6.000 კორნილოველი, 26 იანვარს დაკავებულ იქნა კიევი; 18 იანვარს ურალის წითელ გვარდიელებმა დაიკავეს ორენბურგი; 24 თებერვალს დონის მემაღაროებთა რაზმებმა პიტერის და მოსკოვის გვარდიელთა დახმარებით დაიკავეს როსტოვი.

სამოქალაქო ომის ამ პირველ პერიოდში მუშათა წითელმა არმიამ გადამწყვეტი გამარჯვება მოიპოვა შინაურ მემამულე ბურჟუაზიულ კონტრ-რევოლიუციაზე.

რეგულიარული წითელი არმია.

10. მაგრამ ოქტომბრის რევოლიუციამ რისხვა დაატეხა არა მარტო რუსეთის კაპიტალისტებს და მემამულეებს. ეს ძლევა-მოსილი რევოლიუცია პირდაპირი საფრთხეთ მოევლინა მსოფლიო ბურჟუაზიას. ამიტომ ძალიან ჩქარა დაიწყო ჩვენ საქმეებში უცხოეთის იმპერიალისტური სახელმწიფოების ჩარევა, რომელი სახელმწიფოებიც შეიარაღებული ძალებით დახმარებას უწევდენ კონტრ-რევოლიუციას. უკვე 1918 წ. დასაწყისში დაიწყო გერმანელი ჯარების შემოტევა, შემთხვევითი, მჭიდრო გაერთიანებას მოკლებულნი, სუსტად დარაზმული და შეიარაღებული წითელგვარდიელთა რაზმები, მიუხედავათ მათი მაღალი რევოლიუციონური ძლევა მოსილებისა, სუსტნი აღმოჩნდენ გერმანიის არმიებთან ბრძოლაში, იმ არმიებთან, რომელნიც შეიარაღებული და გაწვრთნილი იყვენ ახალი სამხედრო ხელოვნების წესების მიხედვით. მოკლე დროის განმავლობაში გერმანიის ჯარები იკავებენ მთელ უკრაინას, დასავლეთის და ბალტიის მხარეს. რეგულიარული წითელი არმიის შედგენის საკითხი. ისეთი არმიის, რომელიც შესძლებდა ჯავშნიანი მუშტისათვის წინააღმდეგობის გაწევას, გადაიქცა ნორჩი საბჭოთა რესპუბლიკის სიკვდილ-სიცოცხლის საკითხად.

11. ბრესტის ზავით გვარად ნაყიდი ზავის შემდეგ, საბჭოთა ხელისუფლება ყველა თავის ძალებს ახმარს ძლიერი წითელი არმიის შექმნას. პირველი ნაბიჯი ამ მიმართულებით იყო დეკრეტი, წითელი არმიის ორგანიზაციის შესახებ, რომელიც სახალხო კომისართა საბჭომ მიიღო 1918 წ. 15—28 იანვარს ეს დეკრეტი გამოქვეყნდა და შევიდა ძალაში 23 თებერვლიდან და ამიტომ ეს დღე ითვლება წითელი არმიის დაარსების დღეთ. იმის გამო, რომ მეფის არმიის დაშლის და საბჭოთა აპარატის სისუსტის პირობებში შეუძლებელი იყო იძულებითი გაყვანის პრინციპის ხმარება, წითელი არმია თავდაპირველად მოხალისეობის საფუძვლებზე ეწყობა. წითელი არმიის შედგენის გეგმაშეწონილი მუშაობა სწარმოებს უმაღლეს სამხედრო საბჭოში, რომლის სათავეში 1918 წელს 17 მარტს დგება ამხ. ტროცკი. არმიის რეგულიარულ საფუძვლებზე მოწყობის საქმემ მოითხოვა ყოფილ აფიცრებიდან სპეციალისტების ხმარება, რამაც გამოიწვია თვითეულ ნაწილში საბჭოთა ხელისუფლების და კომუნისტური პარტიის სრულუფლებიან წარმომადგენლების კომისართა ინსტიტუტის დაწესება.

12. ამავე დროს უცხოეთის ჯარების ჩარევა ძლიერდება. გერმანიის იმპერიალიზმის ნაცვლად სცენაზე გამოდის ინგლისელების და ფრანგების მიერ მოწყობილი ჩეხო-სლოვაკების აჯანყება, რომელთაც დაიწყეს შემოტევა 1918 წლის მაისის დამლევს და ჩქარა დაიპყრეს რა მდ. ვოლგას მთელი სანაპიროები, ემუქრებოდენ საბჭოთა რესპუბლიკის ცენტრს. ცოტა უფრო გვიან (აგვისტოს პირველ რიცხვებში) ინგლისელებმა და ამერიკელებმა გადმოსხეს თავისი ჯარები არხანგელსკში, შეეცადენ ცენტრალურ რუსეთში შემოჭრას და ჩეხო-სლოვაკებთან შეერთების შემდეგ ფიქრობდენ რკინის მუხრუჭები მოეჭირათ საბჭოთა რუსეთისათვის. ამავე დროს რესპუბლიკის შიგნივ ესერები, ფრანგების და ინგლისელების ფულებით აწყობენ კონტრ-რევოლიუციონურ შეთქმულებას და აჯანყებას. (ყველაზე დიდი აჯანყება მოხდა იაროსლავში, ტამბოვსა და მურომში).

13. გარეშე და შინაურ მრისხანე საფრთხის წინაშე საბჭოთა ხელისუფლება სჭიმავს მთელ თავის ძლებს და ანვითარებს სასწრაფო მუშაობას რევოლიუციის თავდაცვის მოსაწყობად. მოხალისე წითელ არმიას, რომელსაც არა ყავს მტკიცე კადრები და რომელიც დამოკიდებული იყო ნებაყოფლობითი სტიქიონზე, არ შეეძლო ქონოდა საკმაო ძლიერება. და საბჭოთა ხელისუფლება ეყრდნობოდა რა სამხედრო კომისარიატების განმტკიცებულ აპარატებზე, გადადის მობილიზაციაზე. ამასთანავე წითელ არმიაში იწვევენ მხოლოდ და მხოლოდ მუშებს და ისეთ გლეხებს, რომელნიც არ ეწეოდენ სხვისი შრომის ექსპლოატაციას. კლასიურ სამოქალაქო ომის დროს საბჭოთა ხელისუფლებას არ შეეძლო შეეიარაღებია თავისი კლასიური მტრები. წითელი ვინტოვკა არის მშრომელთა საპატიო მონოპოლია. არა მშრომელი ელემენტები იგზავნებიან სამსახურის მოსახდელად ზურგის ლაშქარში. პირველი მობილიზაცია ცხადდება 1918 წ. 12 ივნისს. კლასიური პრინციპის წყალობით, წითელი არმიის მობილიზაცია იძულებით გაწვევის პირობებშიაც ინარჩუნებს თავის კლასიურ შემადგენლობას, თავს უყრის რა თავის რიგებში მუშებს და გლეხებს, რომელნიც მთელი თავისი არსებით არიან დაინტერესებულნი რევოლიუციის გამარჯვებით. კლასიური შემადგენლობა და წითელი არმიის ნაწილთა მჭიდრო კავშირი მტკიცდება კომუნისტების და პროფკავშირთა წევრების სპეციალური მობილიზაციით: ამ სპეციალურ მობილიზაციის საშუალებით წითელ-არმიაში თავს იყრიან მუშათა კლასის საუკეთესო ძალები, რომელნიც ამჭიდროებენ მის რიგებს პროლეტარული ცემენტით.

მთელი საბჭოთა რესპუბლიკა ხდება ერთიანი სამხედრო ბანაკი. მშრომელთა მასების მთელი ნებისყოფა და ძლიერება მიმართული იყო მუშურ-გლეხურ წითელი არმიის განმტკიცებისა და გამარჯვების მიღწევისაკენ.

გერმანიის რევოლიუცია და წითელი არმიის გამარჯვებანი.

14. ამ გმირულმა თავდადებამ ადრე მოიტანა შედეგები ფრონტებზე: იქ ხდება აშკარა გარდატეხა. სექტემბრის დასაწყისში აღებულია კაზანი, 3 ოქტომბერს აღებულია სიზრანი: წითელი არმია ამარცხებს ჩეხო-სლოვაკებს და 1919 წლის დასაწყისში, უფის და ორენბურგის დაკავებით, არა თუ კვლავ იპყრობს ვოლგის მთელ სანაპიროებს, არამედ აგრეთვე მოკლე ხნის განმავლობაში უერთებს საბჭოთა რესპუბლიკას წითელ თურქესტანს.

უშედეგოდ რჩება ინგლისელების, ამერიკელების და თეთრ-გვარდიელების შემოტევა ჩრდილოეთით არხანგელსკიდან.

შინაური შეთქმულებანი და აჯანყებანი, რომელთაც აწყობდენ ესერები და მონარქისტები ანტანტის დახმარებით, (თავიანთ კონტრრევოლიუციონურ საქმიანობით ესერები იმ ზომამდე მიდიან, რომ აწყობენ თავდასხმას ამხ. ლენინზე, რომელიც დასჭრეს 30 აგვისტოს) ჩაიქრეს.

მასთან ერთად, 1918 წ. ნოემბერში, გერმანიის რევოლიუციის ვილჰელმ მე-2-ეს ჩამოგდების შემდეგ, იწყება ჩქარი უკან დახევა გერმანიის ჯარების, რომლებიც საგრძნობლად გარევოლიუციონერდენ საბჭოთა რესპუბლიკასთან დაახლოვების გზით. წითელი არმია წინ მიიწევს დასავლეთით და აღმოსავლეთით, უწევს რა დახმარებას ადგილობრივ მშრომელთა აჯანყებებს.

1919 წლის დასაწყისში ლატვია, ესტონეთი და ბელორუსია ხდებიან საბჭოთა რესპუბლიკები და შედიან ერთიან საბჭოთა ფედერაციაში. უკრაინაში, სადაც გეტმანი სკოროპადსკი ემყარებოდა გერმანიის ხიშტებზე, გერმანიის რევოლიუციის შემდეგ წესდება იგივე, „გეტმანშჩინა", მაგრამ დამყარებული გენერალ-მოხალისეთა რაზმებზე (გენერლები კელერი და დოლგორუკოვი). აჯანყებებით ის აღგვილ იქნა პირისაგან უკრაინის მიწისა. წითელ პარტიზანულ დივიზიის თავდასხმით რამოდენიმე კვირის განმავლობაში მარცხდება პეტლიურა, თავისი თავგამოდებული მსროლელებით.

1919 წლის დასაწყისში საბჭოთა ხელისუფლება მყარდება მთელს უკრაინაში (კიევი აიღეს საბჭოთა ჯარებმა 5 თებერვალს, ოდესა 7—აპრილს).

წითელი არმიის დეფექტები.

15. ამ რიგად, 1919 წლის დასაწყისში მძლავრი წითელი არმია ძლევა-მოსილი შეტევით არღვევს კონტრრევოლიუციის რკალს. საბჭოთა ფედერაცია ფართოვდება.

მაგრამ წითელი არმიის ორგანიზაციაში მოიპოვება კიდევ მრავალი დეფექტები. არ არის მთლიანი ხელმძღვანელობა წითელ არმიაზე (ცალკე უკრაინის არმია, ლატვიის ცალკე არმია); არ არის სავსებით დაძლეული პარტიზანშჩინა (განსაკუთრებით უკრაინაში): ნაწილებში კიდევ სუსტი დისციპლინაა და არ აქვთ მათ საკმაო პოლიტიკური აღზრდა.

16. ეს შედეგები ადრე დაეტყო სამხედრო ოპერაციების მსვლელობას. 1919 წლის გაზაფხულზე იწყება ახალი შემოტევა აღმოსავლეთის ფრონტზე კოლჩაკის მხრივ, რომელმაც ანტანტის დახმარებით, ჩეხო-სლოვაკების ზურგს უკან, შეკრიბა მრავალ რიცხოვანი არმია, რომელსაც დახმარებას უწევდენ ჩეხო-სლოვაკიის, ფრანგების, ინგლისელების, იტალიელების და იაპონელების საოკუპაციო რაზმები.

კოლჩაკის შემოტევა ვითარდება დიდი ძალით და ლტოლვით (10 მარტს კოლჩაკის ჯარები იკავებენ ბირსკს, აპრილში უკვე კოლჩაკი საფრთხეს უმზადებს სმირნას და ყაზანს.

კომუნისტურმა პარტიამ სასწრაფოდ თავი მოუყარა თავის საუკეთესო ძალებს და გაგზავნა ისინი ფრონტზე. გლეხობამ, დაინახა რა კო კის ზურგს უკან მემამულის გამ ბული სახე, იწყო მზადება საბრ ველად. ახალი ძალებით შევს წითელი არმია, ეხლანდელ მთ სარდალის ამხ. კამენევის ხელმ ნელობით, გადადის შეტევაზ კოლჩაკის ბედიც წყდება. აპ ბოლო რიცხვებიდან სექტებრ ხევრამდე წითელი არმია კი ა დის, არამედ მიჭქრის წინ და ნის მტერს. იკავებს რა უფას, ეკატერინბურგს, ზემო-ურალსკ ლიაბინსკს და მთელ რიგ ს ლაქებს, წითელი არმია 4 ს ბერს შედის ტობოლსკში და 1 ტემბერს, ორენბურგ—ტაშ მიმართულებით, კვლავ უერ წითელ თურქესტანს.

კოლჩაკის განადგურება

17. მაშინ კოლჩაკი მიმართა ნასკნელ საშუალებას და, აგ რა არმიის ნაშთებს, გადმოდის ვაზე და უკან გვახევებს მ ტობოლიდან. მაგრამ წითელი სასწრაფოდ იკრებს ძალებს დ დის კონტრ-შეტევაზე და, ა ნებს რა კოლჩაკს ტობოლსკს, წ იწევს. 14 ნოემბერს დაეცა კოლჩაკის სატახტო ქალაქი, დროს ჩვენ ხელში გვივარდება ნადავლი.

წითელ არმიისათვის დასახ ლად მოდიან ციმბირის წითელ ტიზანები, რომლებიც ანადგ კოლჩაკის ზურგს, აფეთქებენ და სხვ. უახლოვდება რა ი იარსკს, წითელი არმია იკავ ქალაქს და აიძულებს კოლჩაკ მიის უკანასკნელ ნაშთებს და დენ. კოლჩაკი თავისი მინის გარბის ირკუტსკში, მაგრამ აპატიმრებენ პარტიზანები. 7 თებერვალს კოლჩაკი, რევ ნალის დადგენილებით, დახ იქნა.

---

*) ამხ. ნიუბოლდი, რომელიც რუსეთში იმყოფება, არის ბელადი ინგლისის კომპარტიის და წევრი პარლამენტის.

4. დამოკიდებულება საბჭოთა სახელმწიფოსი უნდა იყოს სრულებით სხვაგვარი მთელი აღზრდა ბავშთა ჰასაკის 13—15 წლამდე უნდა აილოს თავის თავზე სოც. აღზრდის ახალ ორგანომ და ჩვენი სისტემათ მიჩნეული უნდა იყოს სისტემა—არა „ოჯახური სკოლა“, არამედ სოციალური აღზრდა განვითარება. ჩვენ უნდა დავაწესოთ ისეთი წლოვანების მინიმუმი; როდესაც ბავშებს უფლება ექნებათ სახელმწიფოსადმი წარადგინონ მხოლოდ უფლება და მოთხოვნილება, მაგრამ არასოდეს არავითარი დავალება. ბავშები 14 წლამდე არავითარ გზით არ უნდა იქნენ დაშვებული სამუშაოზე. შრომის უნარი მათ უნდა ჰქონდეთ და გაიწრთვნენ ამ მხრივ მხოლოდ სკოლაში და საბავშო დაწესებულებებში. 14—16 წლამდე უნდა შემოღებულ იქნეს შემცირებული სამუშაო დღე და მსუბუქი შრომის პირობები, დასჯის კანონი ასეთ წლოვანებისთვის უნდა შეიცვალოს იმ დასჯის პირობებით, რომელსაც იმუშავებს საექიმო-საპედაგოგიო პერსონალი, ბოლოს თვით განათლების სისტემაში უნდა დავაწესოთ 15 წლის წლოვანება, როგორც ჰასაკი გარდამავალი პროფ. განათლებისაკენ, რაიც უკვე არკვევს ერთგვარ დამოკიდებულებას სახელმწიფოსა და ახალგაზრდობის შორის.

5. ჩვენი გამოსავალი უსათუოთ ასეთია. ეს ოჯახის ღრმა კრიზისი, მისი უვარგისობა, როგორც აღსაზრდელი ფაქტორი და მისი სრულებითი უზრუნველყოფა სოც. აღზდის მიაღაგზე. სოც. აღზრდის სისტემისთვის საჭიროა ორმაგი კრიტერიუმია.

ა. საჭიროა დამყარდეს მაგარი დამოკიდებულება სხვა და სხვა ბავშების მოსახლეობის მდგომარეობასა და ზნე-ჩვეულების შორის. ბ. საჭიროა სათანადოთ გადაწყდეს და გაირჩეს ძირითადი პედაგოგიური ამოცანები. სოც. აღზრდის განყოფილების საბოლოო მიზანია ბავშების საერთო ორგანიზაცია. მთელ ბავშების მოსახლეობის კოლექტიურ ცხოვრების მოწყობა და მათი გაერთიანება კოლექტიური სახით.

6. სოციალური აღზრდა—ეს საზოგადოებრივი აღზრდაა, ჩვენი ამოცანაა 15 წლამდე ისე მოვამზადოთ ბავშები, რომ ისინი ჰარმონიულად განვითარდენ და შეიქნენ ახალ კომუნისტურ საზოგადოების მკვიდრი წევრნი, გრძნობდენ მჭიდრო კავშირს ამ საზოგადოებასთან და შეიგნონ კომუნისტური კოლექტიური ფსიქოლოგია და შრომის უნარი განუვითარდეთ. სოც. აღზრდამ უნდა მოგვცეს ჰარმონიულად განვითარებული პიროვნება, რომელსაც შეუძლია თავისი ნებისყოფა და ინტერესები დაუქვემდებაროს კოლლექტივის ინტერესებს, რომელსაც ყოველ პირობებში შეუძლია იყოს კარგი ამხანაგი, შეუძლია შეიგნოს და შეასრულოს განკარგულებები და სხვების დავალება, ხოლო მეორე მუშაობაში შეიტანოს თავისი ინიციატივა და ბოლოს დაემორჩილოს არა ავტორიტეტს პიროვნებისას—არამედ მეცნიერულად დაფუძნებულ პრინციპებს.

7. სოც. აღზრდის მიზნების მისაღწევად საჭიროა შემდეგი დაწესებულებები: ა. საბავშო ბაღები და კერა—ეს შრომის სკოლების საძირკველია. თუ საბავშო დაწესებულებები (სასკოლო ჰასაკამდე) ნორმალურ პირობებში არ მუშაობს და არ ვითარდება, შეუძლებელია ტიპიურ შრომის სკოლების შექმნა. აქედან ჩვენი მიზანია გავაფართოვოთ სასკოლო ჰასაკამდე დაწესებულებების რიცხვი. მათი რიცხვი უნდა უდრიდეს სკოლების რაოდენობას. მეორე—უნდა ვესწრაფოთ ბავშების სკოლებში დარჩენის ვადა გავაგრძელოთ, რომ ამით ჩვენ შევამციროთ და ბოლოს სრულებით მოვსპოთ ვიწრო ეგოისტურ ოჯახის გავლენა. ბ. მოედნები—უნდა გამოიყოს სასკოლო აღზრდის განსაკუთრებულ [illegible]ით და უნდა გავაფართოვოთ ის ყოველ მხრივ, რათა მრავალგვარი [illegible] საშუალო და სკოლის ასაკამდე აღზრდის მუშაობისა ზაფხულის და არა ზაფხულის მოთხოვნილების მიხედვით სათანადოთ გამოვიყენოთ. მუშაობის ამ ფორმას აქვს ბავშების ფიზიკურათ განვითარებისთვის დიდი მნიშვნელობა. გ. სკოლა-კლუბი ან სახლები, სადაც ბავშები ატარებენ მთელ დღეს. ეს განსაკუთრებით საჭიროა, რათა შემცირდეს ინდივიდუალისტურ ოჯახის გავლენა და ამით ჩვენ საშუალება მოგვეცეს გავატაროთ ბავშებთან მუშაობა, როგორც სასკოლო, ისე სასკოლო ჰასაკამდე აღზრდის მიმართ.

დ. საბავშვო სახლები (ინტერნატები) ეს ისეთი დაწესებულებებია, რომლებიც მთლიანათ ყველაზე უფრო უპატრონო ბავშვებს უწევს ხელმძღვანელობას. ასეთი დაწესებულებები დაბადა ცხოვრების აუცილებლობამ. მათ თავიანთ თავზე აიღეს მთლიანად ბავშვების მოწყობა: კვება, სწავლა და აღზრდა, სადაც თავშეფარებულნი იქნენ ობლები, ნახევრათ ობლები, მიგდებულები და უსახლკარო ბავშვები. ამ კოლექტივებში ასეთი ბავშვები არამც თუ ცხოვრობენ, არამედ თავის ბუნების მიხედვით თვითონ აწყობენ ცხოვრების პირობებს. და ამ რიგათ ეწევიან ყოველდღიურ ყოფას აღნიშნულ დაწესებულებების მზრუნველობით, ამ დაწესებულებების მიზანია—აიღოს თავის თავზე მზრუნველობა უპატრონო ბავშვებზე, მოახდინოს აღრიცხვა და შესაფერი ბინა მისცეს სათანადო დაწესებულებებში დანაწილებით. მეორე გადაუდებელი მიზანია—გამოძებნოს პასუხისმგებელი და სოციალურ აღზრდის საქმისათვის მცოდნე ამზრდელები.

ე) მთლიანი შრომის სკოლები, რასაკვირველია, არა ძველი სქოლასტიურ მოცილებული ცხოვრებას. არამედ ისეთები, რომლებიც ყოველმხრივ აშუქებენ თანამედროვე მდგომარეობას, შეისწავლიან და სალათ ახსნიან-განმარტავენ მას. აქედან აუცილებლობა მოითხოვს სოფლის და ქალაქის სკოლები ავაშენოთ ახალ ბაზისზე. შრომის სკოლაში უნდა იყოს არა როგორც ფიზიკურათ შეუძლებელი—უძლური პროცესი, არამედ როგორც იარაღი ცხოვრებისა და მოვლენის შეგნება - შეთვისებისათვის.

ვ) დაწესებულებები დეფექტიურ ბავშვებისთვის. მემკვიდრეობა, ჩასახვის პირობები, დაბადებიდან აღზრდა, სოციალური წრე, და სხვა ბადებენ ღრმა გაუგებრობას ბავშვებს შორის, რომლებიც აღჭურვილნი არიან ე. წ. ფიზიკური და გონებრივი დეფექტებით.

თუ ჯანსაღი ბავშვების აღზრდის პრობლემა პრაქტიკულათ კიდევ არ დგას სოციალურ აღზრდის წინაშე, მაგიერათ დეფექტიურ ბავშვების საკითხი დაისვა დღის წესრიგში. საჭიროება სპეციალური დაწესებულების, ამ მიზნისათვის ფრიად დიდია.

ჯერ-ჯერობით ეს მუშაობა მიმდინარეობს ცენტრში. ადგილობრივ განყოფილებების მიზანია ყოველგვარათ შეუწყონ ხელი მის განვითარებას, რომ ბოლოს მთელი რესპუბლიკის აპიროება ამ მხრივ დაკმაყოფილებული იქნეს.

8) პედაგოგიურ მოთხოვნილებამ მშობლიურ ენაზე ბავშის აღზრდამ გამოიწვია სკოლების ბაღების გაეროვნება (ბავშების ყველა დაწესებულებების უმაღლეს სკოლებამდე), მაგრამ ის ჩატარდა მოუმზადებლათ და ბავშობა დარჩა უწიგნოთ. ეს მდგომარეობა თავისთავათ არკვევს ერთ ავადმყოფურ მოვლენას ბავშის სწავლის, კლუბის, თეატრის და კინოს შესახებ. საჭიროა აღვრიცხოთ ყველა საბავშო სამკითხველოები, გადავარჩიოთ სკოლები უვარგისებიდან და შევავსოთ ახლებით, აგრეთვე უხელმძღვანელოთ სასკოლო ჰასაკამდე მუშაობას, როგორც ცენტრში, ისე ადგილობრივ.

სოციალურ აღზრდის სალიტერატურო-სამხატვრო სექციებს ესაჭიროებათ დახმარება, და მათი გამომცემლობის დარიგება-გავრცელებაში.

9) პიროვნების ჰარმონიულათ განვითარების მოთხოვნილება, ბავშების ფიზიკურათ დაკანონება და მათი გონებრივათ დაცემა, თავის-თავად შობს ბავშების ფიზიკურათ განვითარებას, სახელოვნო და ესთეტიურ აღზრდის მოთხოვნილებას, რასაც უმთავრესი ყურადღება უნდა მიექცეს.

10) წმინდა პედაგოგიურ დარგში, სოციალურ აღზრდის განვითარება ხასიათდება პირველ ყოვლისა თავის დეცენტრალიზაციით. ყურადღებას და ღონისძიების ცენტრათ მიჩნეულია ცოცხალი ბავშები—მისი ბუნებრივი ზრდა და ნორმალური განვითარება, დაკმაყოფილება ბავშის ფსიხო-ფიზიკურ მოთხოვნილებათა. როგორც ბიოლოგიურ არსების, როგორც ზეგავლენიანი საგნის, მდგარის ბიოლოგიურ კიბის ერთგვარ საფეხურზე და ბოლოს ზრუნვა მის უფლების დაცვაზე. აქედან ცხადია, საჭიროა ფსიქოლოგიის ცოდნა, საბავშო პედაგოგიას და პირველ რიგში აღზრდა ბავშის. ასე რომ განათლება, ეს ერთად ერთი ფუნქციაა და შედეგია მთელი აღზრდის პროცესის.

11) სოციალურ აღზრდის ღირსებითი გამაგრება და გაღრმავება აუცილებლათ დაკავშირებულია განათლების კვალიფიკაციის აწევასთან. სოციალურ აღზრდის ხელმძღვანელთა დიდი ნაწილის დაბალი განათლების დონე, პედაგოგიური და მეთოდიური უნარის უქონლობა, პოლიტიკურ წერა-კითხვის უცოდინარობა, ქმნის გადაუდებელ მოთხოვნილებას, რათა სოც. აღზრდის ხელმძღვანელნი სათანადოთ იქნენ მომზადებულნი. უფრო მიზანშეწონილათ და დროის შესაფერებელი (ფინანსიური მხრივ) არის ფორმა განათლების მუშაკთა მოსამზადებლათ კონფერენციები, განსაკუთრებით მასიურ და აქტიურ მომუშავეებისათვის. მაგრამ ამავე დროს არ უნდა უარვყოთ სხვა ფორმაც მომზადების. (პრაქტკურსები, სემინარიებში, სისტემატიური კურსები და სხ.). მაინც ყურადღების ცენტრი უნდა გადავიტანოთ მასიურ მუშაკთათვის მოწყობილ ნაყოფიერ კონფერენციებზე, ჩავაბათ საუკეთესო ძალები წრეების მუშაობაში და აგრეთვე თვითოეულ მუშაკის ყოველგვარ ინდივიდუალურ თვითმომზადებაში (პედაგოგიურ ლიტერატურით), წერილობით და სიტყვიერ ორგანიზაციულ კონსულტაციით და სხ. ამავე მიზნით სოციალურ აღზრდის მუშაობის გაღრმავების და გაძლიერების საქმეში უნდა იყოს მიჩნეული ცენტრათ იდეურ-პედაგოგიური კავშირი ცენტრსა და ადგილებს შორის.

გაძლიერებული უნდა იქნას დამოკიდებულება მეთოდიურ განყოფილებებთან, საცდელ-საჩვენებელ სკოლებთან, სახლებთან და ბაღებთან.

ამასთან ერთად საჭიროა კურსების შექმნა ადგილობრივ და ცენტრში და აგრეთვე კონფერენციის ჩატარება სასკოლო და სასკოლო ჰასაკამდე და საზოგადოთ აღსაზრდელ საქმის საკითხების გასარჩევათ.

12) მასიური ორგანიზაცია იდეალური სკოლის ახალ პრინციპებზე, რასაკვირველია, დაიგვიანებს, როგორც პედაგოგიურ, ისე მატერიალურ მიზეზების გამო, მაგრამ ეს აუცილებელია.

ახალ—სოციალისტურ სკოლის შექმნის დაჩქარებაში ითამაშებს დიდ როლს საცდელ-საჩვენებელი სკოლები, რომელთა მიზანი და ამოცანები უნდა იყოს: 1) ექსპერიმენტი, დაყენება საცდელ საქმეების და გამოძებნა დასკვნა—შედეგების. 2) საჩვენებელი დემონსტრაცია და დასკვნები მასწავლებელთა ფართე მასების წინაშე და 3) თვითმოგონების წრეების მიხედვით. დიდი ყურადღების ღირსი არის ადგილობრივათ მუშაობა და განვითარება საცდელ-საჩვენებელ დაწესებულებების. საცდელ-საჩვენებელი დაწესებულებები უნდა გახდეს ქურად ღრმა პედაგოგიურ აზროვნების და ნათელი შემოქმედებითი გამოცდილების.

საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს პლენუმი

13 თებერვალს, საღამოს, მუშათა სასახლის დიდს დარბაზში შესდგა საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს პლენუმი, რომელზედაც განხილული იყო ორი საკითხი: 1) უმუშევართათვის ადგილის დამოუკიდებლათ მოძებნის უფლების შესახებ, 2) საბინაო კოოპერატივის შესახებ.

უმუშევართა შესახებ.

(ამხ. იაშვილის მოხსენება.)

უმუშევართა თანდათანობითი გამრავლების გამო, საკითხი უმუშევრობის შესახებ იღებს მწვავე ხასიათს. უმუშევართა რიცხვის გადიდება გამოწვეულია, ერთის მხრით შტატების შემცირებით და ახალ ეკონომიურ პოლიტიკის მიერ შექმნილ პირობებით—მეორეს მხრით.

ამის გამო შრომის სახალხო კომისარიატის კოლეგიას ამ საკითხის რაციონალურათ გადაწყვეტის ამოცანა წარმოუდგა. ძირითადი ღონისძიებანი არის შემდეგი: საზოგადოებრივ სამუშევრის ორგანიზაცია და უმუშევართა ნივთიერი უზრუნველყოფა დაზღვევის სახით. მაგრამ პირველი ზომა ძიებისა და დამუშავების სტადიაში იმყოფება, რადგან მისთვის საჭიროა საშუალება, რომელსაც სამეურნეო ორგანოები და ქალაქის აღმასკომი ჯერჯერობით მოკლებულნი არიან. რაც შეეხება უმუშევართა დაზღვევას, ეს საკითხი მხოლოთ 1 იაგვრიდან დაისვა ნორმალურ პირობებში.

ამიტომ წარმოსდგა საჭიროება სხვა საშუალებების ძიებისა და ერთ-ერთ დროის შესაფერ ზომათ მიჩნეული იყო უმუშევართათვის, რომლებიც ჩარიცხულნი არიან შრომის ბირჟაში ამ უკანასკნელისაგან დამოუკიდებლათ ადგილის გამოძებნის ნებართვის მიცემა იმ პირობით, რომ რეგისტრაციის შემდგომ უმუშევარს გზავნის ბირჟა. ეს ზომა საშუალებას მოგვცემს ადგილებზე მოვაწყოთ უმუშევართა დიდძალი ნაწილი.

ასეთი უმუშევრობის საწინააღმდეგო ზომა მიღებულია ბევრ საგუბერნიო საბჭოს მიერ და აგრეთვე გატარებულია ჩვენს მეზობელ აზერბეიჯანში.

კოლეგიის მიერ ამ დადგენილების გამოტანის შემდეგ, მოსკოვიდან ჩამოგვივიდა სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს დადგენილება, რომლის ძალით უმუშევრებისათვის დამოუკიდებლათ ადგილის მოძებნა დაუშვებელია. დადგენილების მიხედვით ამ საკითხში საჭიროა ძველი წესებით ხელმძღვანელობა.

ამ დადგენილებას, რასაკვირველია, უნდა ანგარიში გაეწიოს, მაგრამ დიდ ცოდვათ არ ჩაგვეთვლება, თუ საბჭო მიიღებს ამ ზომას, როგორც დროებითს.

ზედმეტია იმის აღნიშვნა, რომ ზოგიერთ დაწესებულებას შრომის ბირჟის აცილება ურჩევნია. ბირჟა ამ მოვლენის წინააღმდეგ აწარმოებდა ბრძოლას და შემჩნეული იყო, რომ ასეთი წარმოება და დაწესებულებანი მალავენ თავისუფალ ადგილებს და მუშაობა იქ სწარმოებდა ზედმეტი სამუშაო წესით. ამ შემთხვევებში მიზანშეწონილია ადგილების დამოუკიდებლათ გამონახვის ნებართვა.

ბირჟაში 10 ათასი უმუშევარი ირიცხება და ამ რიცხვის ძალიან მცირე ნაწილს წარმოადგენს კვალიფიციური სამუშაო ძალა, უდიდეს ნაწილს კი არა კვალიფიციური ძალა, საკანტორო პერსონალი და სხვა შეადგენს.

შრომის ბირჟის აცილებისათვის მისწრაფება გამოწვეულია ექსპერტიზის არა დამაკმაყოფილებელი მდგომარეობით და, აგრეთვე, ახალ დაწესებულებების წარმოშობით, რომლებსაც დასახული აქვთ სასწრაფო მიზნები და რომლებსაც დაწესებულებების მუშაობას სათანადო სიმაღლეზე დაყენება სურთ.

კონკრეტულათ, კოლეგიამ განიზრახა, მისცეს თავისუფლად ადგილების გამოძებნის უფლება ბირჟაში 5 თვეზე მეტ ხანს ჩარიცხულ უმუშევარი. ეს ზომა 1 მაისამდე გატარდეს.

კამათის გახსნამდე, თავმჯდომარე—ს. ჯუღელმა აღნიშნა, რომ საქ. პროფკავშირთა საბჭოს პრეზიდიუმმა ეს საკითხი, როგორც სადისკუსიო, პლენუმში გადაიტანა და ამიტომ ის საჭიროთ სთვლის კამათის გახსნას. კამათს ძლიერ ცხოველი ხასიათი ქონდა. და საჭიროა აღინიშნოს, რომ ორატორების უმეტესი. ნაწილმა დამოუკიდებლათ ადგილების გამოძებნის ნებართვის წინააღმდეგ გაილაშქრა. მათის აზრით, თუ პროტექციონიზმი არსებობდა აქამდე, ამ უფლების ცხოვრებაში გატარების შემდეგ, პროტექციონიზმი უფრო გაძლიერდება. არსებულ მდგომარეობის შესამსუბუქებლად დასაშვებათ მიჩნეულ იქნა მაღალ კვალიფიკაციის პირთა წრის გაფართოება, რომლებსაც უფლება მიეცემა შრომის ბირჟისაგან დამოუკიდებლათ დაიკავონ ადგილები, სადაც საჭიროა პოლიტიკური პასუხისმგებლობა, ან დიდ თანხებისა და დოკუმენტებით ოპერაციებისათვის—პირადი ნდობა ან კიდევ სპეციალური მომზადება.

საზოგადოთ, როგორც ამხ. ბახუტოვმა აღნიშნა, საჭიროა უპირატესობა კვალიფიკაციას მიეცეს და არა სტაჟს.

რეზოლიუცია.

კამათის შემდეგ პლენუმმა დაადგინა: არ იქნეს დაშვებული შრომის ბირჟისაგან დამოუკიდებლათ ადგილების დაჭერა, მაგრამ იმ შემთხვევებში, როდესაც პერსონალური მოთხოვნილება დადასტურებული იქნება კავშირის მიერ, მიეცეს ასეთი გაგზავნის ნებართვა ფიზიკურ შრომის უმუშევართათვის, რეგისტრაციაში სამი თვის ყოფნის შემდეგ და გონებრივ შრომის პირთ, არა ნაკლებ 5 თვის რეგისტრაციაში ყოფნის შემდეგ.

მაღალ კვალიფიკაციის კატეგორიების განსასაზღვრელათ შესდგა კომისია, რომელშიაც შედიან: ატოევი, ლოლობერიძე, მაჩაიძე, რაზმაძე, მხიტაროვი და ბერბერაშვილი, პროფკავშირთა საბჭოს სატარიფო-ეკონომიურ განყოფილების წარმომადგენლის მონაწილეობით.

საბინაო კოოპერატივი.

(ამხ. ელბაკიანის მოხსენება)

პლენუმებში არა ერთხელ იყო განხილული საკითხი მუშათა სახლების შესახებ. მაგრამ იმ საკითხს იმ სახლების სიმრთელისა და ვარგისობის შენახვის თვალსაზრისით უდგებოდენ, რომლებიც პროფკავშირთა საბჭოს განკარგულებაში იმყოფება.

მუნიციპალიზაციის შემდეგ პირველ ხანში ეს სახლები ქალაქის აღმასკომის განკარგულებაში იყო, მაგრამ პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ აღმასკომმა ამ სახლების მოვლა ვერ შესძლო.

მაშინ დაიბადა ამ სახლების სამეურნეო ორგანოებისათვის გადაცემის აზრი, მაგრამ აქ შეხედულებები გაიყო და პროფკავშირები მართალი გამოდგენ, როდესაც სთქვეს, რომ სამეურნეო ორგანოები სახლების მიღებაზე უარს განაცხადებენ. მაშინ აღმასკომსა და პროფკავშირთა საბჭოს შორის დადებულ შეთანხმების თანახმათ სახლები კავშირების განკარგულებაში გადავიდა.

საკითხი კი დარაბების შესახებ გახსნილი დარჩა. შედეგათ ამას მოჰყვა ის, რომ სახლები ინგრევა და დღეს, მაგალითად, ბეჭდვითი სიტყვის მუშაკების სახლი განოვის ქუჩა № 18 ჩამოინგრა,

სახლები უპატრონოთ არის, პატრონი კი საჭიროა, და აი, ამიტომ, განზრახულია შეიქმნას საბინაო კოოპერატივი, რომელიც აიღებს თავის თავზე ამ სახლების და დარაბების მოგვარების საქმეს. კოოპერატივის წევრებათ უნდა იქნენ კავშირების ცენტრალური გამგეობები, პროფკავშირთა საბჭო და სამეურნეო ორგანოები. კოოპერატივის ყველა საქმეებს უნდა განაგებდეს კოოპერატივის გამგეობა, რომელიც სარევიზიო კომისიასთან ერთათ აირჩევიან კავშირის ცენტრ. გამგეობების და პროფკავშირთა საბჭოს პრეზიდიუმების და სამეურნეო ორგანოთა გამგეობების საერთო კრებაზე. კოოპერატივის ნივთიერი საშუალება შესდგება მონაწილეების მიერ შემოტანილ თანხების, საბინაო ქირისა და დარაბების შემოსავლისაგან.

ჩასახლების უფლება ექნება სათანადო კავშირს. მაგრამ იმ შემთხვევაში, როდესაც კავშირი დანიშნულ ვადისთვის მობინადრეს არ გამოგზავნის, კოოპერატივის გამგეობას ეძლევა უფლება თავისუფალ ბინაში ჩაასახლოს სხვა კავშირის წევრი, რომელიც სხვაზე მეტათ საჭიროებს ბინას.

კამათის შემდეგ პლენუმმა დაადგინა: პრინციპიალურათ საჭიროთ ჩაითვალოს საბინაო კოოპერატივის ორგანიზაცია, რომელსაც საფუძვლათ მომხსენებლის მიერ წარმოდგენილი წესდება დაედოს. წესდების საბოლოვო დამუშავებისთვის არჩეულია სპეციალური კომისია, შემდეგი შემადგენლობით: ამხ. ამხ. სერგეევი, პრეობრაჟენსკი, ორაუტოვი, ელბაქიანი, ატოევი, არეშოვი და მორჩილაძე.

შემდეგი პლენუმი.

გვიანობის გამო საკითხები: 1) სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს ამიერ-კავკასიის ბიუროს პლენუმის შესახებ და 2) საბინაო განყოფილების ლიკვიდაციის შესახებ გადადებულია შემდეგი პლენუმისათვის, რომლის სხდომა მოწვეული იქნება სამშაბათს 20 თებერვალს.

შეცდომა კი არა—ჭეშმარიტებაა

გაზეთ „ზარია ვოსტოკა“-ს 27 იანვრის № 184 „მუშათა ცხოვრებაში“ დასტამბული იყო საბჭოთა ტიპოგრაფიის მუშების წერილი სათაურით **„От великаго до смешного“**, რომელშიაც ავტორები აცხადებენ პროტესტს სრულიად საქართველოს ბეჭდვითი საქმის ყრილობის დადგენილების გამო, რომლის ძალით სტამბები გაზეთე-ს უნდა გადაეცეს. წერილში მოყვანილია მაგალითები დიდი შრომისა, რომელიც მოიტანეს მუშებმა პოლიგრაფიულ განყოფილების კოლეგიის მეთაურობით საქართველოს პოლიგრაფიულ წარმოების გაერთიანებასა და კონცენტრაციისათვის. ეხლა ყოველივე ეს უნდა დაინგრეს და ამიტომ ავტორები მოუწოდებენ სხვა წარმოების მუშებს მისდიონ მათ მაგალითს და პროტესტი განაცხადონ.

ხელს აწერს 63 კაცი.

„ზარია ვოსტოკა“-ს რედაქციამ გადასწყვიტა სრულიათ მიუდგომლათ გასცეს პასუხი ამ წერილზე და სათაურათ თითქმის შესაფერი ანდაზა: „ზარბაზნებით—ბეღურების წინააღმდეგ“ აირჩია. მან განუმარტა მუშებს მათი შეცდომა, რომელიც, ცხადია, მათ ვინმე გარეშემ მოახვია თავს; აუხსნა ის რომ მუშებისათვის სულერთია, სადაც არ იმუშავებს ის, თუ კერძო კაპიტალისტის ბრჭალებში არ ჩავარდება.

ბეჭდვითი საქმის მუშაკთა კავშირი ამ წერილების წაკითხვის შემდეგ, რასაკვირველია, ვერ დარჩება ამ საკითხის გარეშე და ის თავის ვალათ სთვლის აუხსნას რედაქციებს, რომ მუშები არავის არ შეუყვანია შეცდომაში და რომ რედაქციები სცდებიან, როდესაც ამბობენ, რომ მუშებს არ უნდა ეშინოდეს იმისა თუ ვის ხელში იქნება მათი წარმოება გარდა კერძო კაპიტალისტისა.

არა, ამხანაგებო, რედაქციებიდან თუ 1 სტამბის მუშებმა გაფრთხილების ნიშანი მისცეს, მათ სათანადო საფუძველიც ქონდათ ამისათვის, უნდა იცოდეთ, რას წარმოადგენს 1 საბჭოთა სტამბა. ის არის შემდგარი წვრილ, ნახევრათ დანგრეულ, ჭერქვეშა წარმოებებიდან, რომლებშიაც იხშობოდენ მუშები მრავალ წლის განმავლობაში და ეხლა თავიანთი სტამბების მოწყობაზე ამოდენა შრომის დახარჯვის შემდეგ, მუშებს აშინებს აზრი, რომ სტამბები ხელახლა ჩავარდება უცოდინართა ხელში, რაც ბეჭდვითი წარმოებას—მოწყობილსა და მოწესრიგებულს—ისევ დარღვევისა და შეჩერებისაკენ წაიყვანს. ბეჭდვითი საქმის მუშები წინდახედულნი არიან და მათ იციან, რომ ეს მათი მდგომარეობის გაცუდებას მოასწავებს.

რედაქციამ თავის პასუხში თავის დებულების საფუძვლათ რუსეთის გამოცდილება მოიყვანა. მან აღნიშნა, რომ სტამბების გაზეთებისათვის გადაცემამ იქ კეთილი ნაყოფი გამოიღო და რომ ამით იქ არავის არაფერი დაშავებია, მაგრამ, სჩანს რედაქცია ცუდათ იცნობს რუსეთის პოლიგრაფიულ მრეწველობას ან, შეიძლება, მალავს თავის სასარგებლოთ იმ გარემოებას, რომ რუსეთში სტამბების მრავალრიცხოვანობის გამო ისინი გადაეცნენ კერძო პირებსა და გაზეთებს. რა მოჰყვა ამას? ის, რომ სტამბები ჩაებმენ მეტოქეობაში, ვინც შესძლო სხვისი მოტყუება, ისინი დარჩენ, დანარჩენი კი ისევ გადავიდნენ ტრესტში. ამ ზომის შედეგს კარგათ ასურათებს ფაქტი, რომ პეტროგრადში ეხლა 2000 უმუშევარი სტამბის მუშაა სხვა ადგილებზე რომ არაფერი ვთქვათ. ყოველივე ეს გვიჩვენებს, რომ საქართველო არ უნდა გაჰყვეს ასეთ მაგალითს, რადგან ცუდი შედეგი, რომელიც მოჰყვება სტამბების გაზეთებისათვის გადაცემას, ძალიან გააძნელებს ბეჭდვითი წარმოების აღდგენას, განსაკუთრებით ახლანდელ პირობებში.

კავშირი სთვლის თავის მოვალეობათ აცნობოს ამხანაგებს რედაქციიდან, რომ პოლიგრაფიულ წარმოების მუშების მე-4-ე სრულიად რუსეთის ყრილობაზე, ქართველ დელეგატების მიერ წამოყენებული იყო საკითხი შესახებ იმისა, რომ საქართველოში არის ტენდენცია სტამბების გაზეთებისათვის გადაცემისათვის. ამაზედ ყრილობამ გამოსთქვა აზრი, რომ ეს არა ნორმალური მოვლენაა, მით უფრო საქართველოში, სადაც პოლიგრაფიული წარმოება მხოლოთ ეხლა არის აღორძინების ხანაში და არას შემთხვევაში არ შეიძლება დაუშვათ ბეჭდვითი წარმოების დაქსაქსვა, რადგან საბჭოთა ხელისუფლება მიილტვის წარმოების კონცენტრაციისაკენ, რომ ის იმყოფებოდეს ერთის ხელში. მხოლოდ მაშინ შეუძლია მას გაამაგროს და განავითაროს თავისი წარმოება.

შემდეგ რედაქცია თავის ანგარიშში ამბობს, რომ რაშია საქმე, რის გეშინიათ თქვენ მუშებო, რომ სტამბები გადავა არა მეპატრონეების ხელში, არამედ პარტიულ ორგანოების. რა შუაშია აქ პარტიული ორგანო, აბა რისთვის უნდათ გაზეთებს მიიღონ სტამბები? ბეჭდვითი სიტყვის მუშაკების ყრილობაზე ეს იყო ნათქვამი ნათლად, რომ გაზეთების შესანახავი სახსარი არ არის, მაშასადამე უნდა აიღონ სტამბები და გაზეთები უფასოდ დაიბეჭდებიან. მაგრამ მუშებს ხომ ფულის მიცემა უნდა, საჭირო იქნება კერძო შეკვეთების მიღება და მით დახმარება წარმოებისათვის. მაგრამ რა გამოვა აქედან? ის, რომ თქვენ გადიქმნებით გამოუცდელ მეპატრონეებათ, ეს კიდევ ცოტაა, თბილისში გამოდის რამდენიმე დიდი გაზეთი, მაშასადამე თვითეულ სტამბამ, რომლის მეპატრონე გახლავს გაზეთი, უნდა ეძიოს ყოველგვარი საშუალება, რათა გადაიტანოს უფრო მეტი სამუშაო თავის სტამბაში და აი ვინც გამოდგება უფრო გამოქნილი, ის იქნება უფრო მდიდარი. მეორე სტამბა კი, რომელიც ვერ შესძლებს გადასწიოს თავის მხარეზე კერძო სამუშაო, აღმოჩნდება გატეხილ გობის წინაშე და იძულებული იქნება ან დახუროს გაზეთი ან და შეამოკლოს მუშათა რიცხვი.

ასეთ მდგომარეობაში ნორმალური მუშაობა, რასაკვირველია, შეუძლებელია და ამიტომ რედაქციის მიერ გადმოსროლილი საყვედური, თითქოს პოლიგრაფიული განყოფილება არ არის დაინტერესებული გაზეთების გაუმჯობესებაში— დაუმსახურებელია. უნდა ითქვას, პირიქით, რომ რედაქციელი ამხანაგები სრულიათ უყურადღებოდ დასტოვებენ სტამბებს, რადგან ისინი დაინტერესებული იქნებიან შემოსავლის გადიდებით. ამასთანავე პოლიგრაფიულ საქმის სუსტი ცოდნა დაღუპავს წარმოებას, რომლის აღდგენაზე ამდენი წლის შრომა დაიდო.

რაც შეეხება იმას, თითქოს 1 საბჭოთა სტამბის მუშები ვიღაცამ შეცდომაში შეიყვანა, საჭიროა ითქვას შემდეგი: 25 თებერვალს—წერილის გამოქვეყნებამდე—ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა საერთო კრებამ სტამბების გადაცემის საკითხი აღძრა. მუშებმა ამის გამო პროტესტი გამოსთქვეს რეზოლიუციაში, რომელიც მოგვყავს სავსებით:

„პოლიგრაფიულ წარმოების მუშების საერთო კრება, განიხილა რა საკითხი სტამბების გაზეთებისათვის გადაცემის შესახებ, აღნიშნავს, რომ ამ წარმოების ყოველგვარი დაქუცმაცება არის როგორც მუშების, აგრეთვე წარმოების დაღუპვა.

ჩვენ, ქ. თბილისის ბეჭდვითი სიტყვის მუშები, ბოლომდე დავიცავთ ჩვენ მიერ მოპოვებულ წარმოების მუშების ხელში კონცენტრაციას და ვშუამდგომლობთ საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს, კომპარტიის ც. კ-სა და სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს წინაშე, რათა არ იქნას დაშვებული საქართველოს პოლიგრაფიული მრეწველობის დაქუცმაცება.“

მბეჭდავთა კავშირი დარწმუნებულია, რომ კომუნისტური პარტია და სხვა ორგანოები, რომლებიც დგანან მრეწველობის სადარაჯოზე, არ დაუშვებენ ბეჭდვითი წარმოების დაშლადანაწილებას სტამბების გაზეთებისადმი გადაცემის სახით, რაც პოლიგრაფიულ წარმოებას კატასტროფიულ მდგომარეობაში ჩააყენებს.

ბეჭდვითი საქმის მუშაკთა კავშირი.

—

ვათავსებთ რა მბეჭდავთა კავშირის პრეზიდიუმის წერილს, საჭიროთ მიგვაჩნია ვსთქვათ შემდეგი.

ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა ყრილობა, რომლის გადაწყვეტილებამ გამოიწვია ასეთი ხმაურობა ამხ. მბეჭდავებში, გამოდიოდა ჩვენი პრესის თითქმის კატასტროფიული სამეურნეო მდგომარეობიდან. ასეთ მდგომარეობას, ვიმედოვნებთ ჩვენ, გულგრილად არ უნდა შეხედონ ამხ. მბეჭდავებმაც და მათმა კავშირმა. რასაკვირველია ჩვენ შორს ვართ იმ აზრისაგან, თითქოს მარტო სტამბების გაზეთებზე გადაცემით შეიძლებოდეს კითხვის ამოწურვა და ჩვენი პრესის ხსენებული მდგომარეობის ერთი დაკვრით გამოკეთება, მაგრამ როგორც ერთი ზომათაგანი, სხვა მრავალთა შორის, ჩვენ დღესაც საჭიროთ მიგვაჩნია ამ წინადადების გატარება.

ჩვენ, რასაკვირველია ვიცით, რომ ამხანაგები მბეჭდავთა კავშირიდან დაინტერესებულნი არიან გაითვალისწინონ, თუ როგორ გავლენას იქონიებს ეს ზომა საერთოთ წარმოებაზე. და რამდენადაც ასე სდგას კითხვა. ეს ჩვენც გვაინტერესებს. გვგონია, რომ ამაში ჩვენ შორის არ უნდა იყოს, არც არის, ორი აზრი. მაგრამ ბოლოს და ბოლოს ჩვენ უფლება გვაქვს მოვითხოვოთ, რომ დღევანდელი რეჟიმი პოლიგრაფგანყოფილების გაზეთებს არ აწევს ისეთ ტვირთათ, რომელიც მიწასთან ასწორებს ჩვენს პრესას, რასაკვირველია, სხვა არა ხელსაყრელ გარემოებებთან ც ერთათ.

ცხადია, წარმოების და იქ ჩაბმული ამხანაგ მუშების ინტერესები არ უნდა შეიბღალოს. მაგრამ გვეშინია, რომ კავშირის პრეზიდიუმს არ დასჩემდეს ის ფსიქოლოგია, რომელიც, როგორც თქმულება არსებობს, ახასიათებდა ერთი ძველ გენერალს. ეს პატივცემული პირი ამბობდა თურმე: „მძაგს ომი, ის შლის ჯარის რიგებს“-ო. ომში, რასაკვირველია, „კარგი არასფერია საზოგადოთ რომ ვსთქვათ. მაგრამ თუ ჯარს ამ მიზნით აწყობ, საჭიროა მისი გაყვანა ბრძოლის ველზე, როდესაც შემთხვევა თხოულობს ამას.

ბოლოს და ბოლოს ჩვენი მიზანია ბეჭდვითი საქმე აყვავდეს. თუ ის ამის მაგიერ კრიტიკულ მდგომარეობას განიცდის, საჭიროა შევეხოთ სათავეს ე. ი. გარკვეულ რეჟიმს პოლიგრაფ - განყოფილებისას. ჩვენ სტამბების გადაცემის საკითხი იმიტომ კი არ გადაგვიჭრია დადებით, რომ რუსეთში მოხდა ასე, არამედ იმიტომ, რომ პრესის დღევანდელი მდგომარეობა გვიკარნახებს ამას.

X.

პარტიული ცხოვრება

საქართველოს კომუნისტურ პარტიის თბილისის კომიტეტი
წინადადებას იძლევა
პარასკევს, 16 თებერვალს.
ერთიან პარტიულ დღეს
დასვათ საკითხი—წითელი არმიის 5 წლის და საქართველოში საბჭოთა ხელის-უფლების 2 წლის თავი.
თბილისის კომიტეტის მდივანი—**მიხ. კახიანი**.

ტფილისის დეპოს და ვაგონების პარკის კომუჯრედში.

დახმარება წითელ ფლოტს.

პარასკევს, 2 თებერვალს, ერთიან პარტიულ დღეს შესდგა დეპოს და ვაგონების პარკის კომუჯრედის ღია სხდომა ახალგაზრდათა კომკავშირის წევრთა და უპარტიოთა მონაწილეობით. დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: 1. მოხსენება წითელი ფლოტის შესახებ. და 2. დელეგატების დასახელება მომავალ საუბნო კონფერენციაზე.

წითელი ფლოტის შესახებ მოხსენება გააკეთა კომუჯრედზე მიმაგრებულმა ამხ. რუბენმა. მოხსენების დასასრულს კომუჯრედმა ერთხმად გამოიტანა შემდეგი რეზოლიუცია:

იღებს რა კომუჯრედი მხედველობაში იმ გარემოებას, რომ მძარცველი საერთაშორისო კაპიტალიზმი, მუშათა კლასის ხარჯზე თავისი გაუმაძღარი მადის დასაკმაყოფილებლად და უძირო ჯიბის გასასქელებლად, ცდილობს დაიწყოს ახალი საერთაშორისო სისხლის ღვრა, კომუჯრედის საზოგადო კრება ახალგაზრდათა კომკავშირის და უპარტიო ამხანაგების თანდასწრებით ადგენს ყოველგვარი დახმარება გაუწიოს არმიასა და ფლოტს.

გადაირიცხოს პარტიის და ახალგაზრდათა კავშირის ყოველ წევრის ერთი დღის სამუშაო ხელფასი წითელი ფლოტის სასარგებლოდ.

წარმოებულ იქნას ფართო აგიტაცია უპარტიოთა შორის წითელი ფლოტის სასარგებლოდ ჯამაგირიდან გადარიცხვის წარმოების შესახებ პარტიისა და კომკავშირის წევრთა მსგავსად.

ჩვენ დაუმტკიცებთ ჩვენ მტრებს, რომ საბჭოთა ხელისუფლებას შეუძლია არა მხოლოდ დანგრევა იმის, რაც ძველი და უვარგისია, არამედ შექმნა ახალის მშრომელ კლასის საკეთილდღეოდ.

გაუმარჯოს მთელი ქვეყნის მშრომელთ; გაუმარჯოს წითელ ფლოტს!

ერთხმად იღებენ ბიუროს მიერ შემუშავებულ სიას.

საუბნო კონფერენციაზე ასარჩევ დელეგატთა სიას, შემუშავებულს კომუჯრედის ბიუროს მიერ, კრება ღებულობს ერთხმად.

პოლიტიკური და კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა.

უჯრედთან მოწყობილია ორი პოლიტიკური წრე: ერთი ქართულ და მეორე რუსულ ენაზე. მეცადინეობა სწარმოებს სისტემატიურად პროგრამის მიხედვით.

სწარმოებს გაზეთების კოლექტიურად გამოწერა და მათი გავრცელება მუშა-მოსამსახურეთა შორის, ამ ჟამად ვრცელდება 150 გაზეთი. სწარმოებს წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია ამისათვის უჯრედთან მოწყობილ სკოლებში.

სასურ. გადასახადის კამპანია

როგორც სახალხო სასურსათო კომისარიატს ატყობინებს სასურსათო გადასახადის მთავარი ინსპექტორი, დასავლეთ საქართველოში ცუდი ამინდი დიდად უშლის ხელს სასურსათო გადასახადის კამპანიას. [illegible] დიდი თოვლი დევს და საერთოდ ცუდი დარები სოფლებში, რომ შეუძლებელი გახდა შეგროვილ გადასახადის თემებიდან მიმღებ პუნქტებში მიტანა.

კოოპერაცია

— **წევრთა რიცხვი.** თბილისის მუშათა მთლიან კოოპერატივში წევრთა რიცხვი 1 სექტემბრამდე აღწევდა 29 ათას კაცს. ეს რაოდენობა იანვარში გაიზარდა 918 წევრით. ამ ჟამად აღნიშნულ კოოპერატივის წევრთა რიცხვი უდრის 29,918-ს.

— **საპაიო გადასახადი.** კოოპერატივთა რწმუნებულების საერთო კრებამ საპაიო გადასახადი განსაზღვრა 1 მანეთი ოქროთი.

— **აღმასკომის კოოპერატივის შემოერთება.** აღნიშნულ კოოპერატივის გამგეობის თაოსნობით, წარსული წლის ნოემბერში მოხდა თბილისის აღმასრულებელ კომიტეტის მოსამსახურეთა კოოპერატივის შემოერთება.

— **კოოპერაციის წევრთა კრება.** ახლო ხანში მოწვეული იქნება კოოპერატივების წევრთა გაერთიანებული საზოგადო კრება. კრებაზე გაკეთებული იქნება მოხსენება მუშაობის შესახებ და მოხდება არჩევნები სადუქნო კომისიების და ახალი რწმუნებულების.

— **სამოქალაქო კოოპერაციის წევრთა რიცხვი.** განზრახულია სამოქალაქო კოოპერიტივები გადაკეთდეს მომხმარებელთა მთლიან კოოპერატივად. მათში ეხლა ითვლება 10,000 წევრი.

— **კოოპერატივის შემოსავალ-გასავალი.** მთლიან მუშათა კოოპერატივის წარმოება 4 თვის განმავლობაში გამოიხატება შემდეგ ციფრებში: შემოსავალი 917,783 მ. გასავალი კი 427,393 მ.

ც ე კ ა ვ შ ი რ ი

დღიდან ცეკავშირის ახალ გამგეობის არჩევისა, სხვა საორგანიზაციო საკითხებთან ერთად გამგეობა შეუდგა მომავალ მუშაობის გეგმის შემუშავებას და გამორკვევას. შედგენილ იქნა საოპერაციო და ფინანსიური ხარჯთ-აღრიცხვა 1923 წლის პირველ სამი თვისათვის და მიღებულია ზომები აუცილებელ საზრუნავ საშუალებათა გამოსანახავად. მიმდინარე საოპერაციო წლის პირველი მეოთხედის საოპერაციო ხარჯთ-აღრიცხვა ითვალისწინებს საქონლის ბრუნვას საკავშირო ორგანიზაციების აღსაჭურველად 1,112,000 ოქროს მანეთის რაოდენობით, რომელ ჯამში შედის შინაგანი დამზადებაც (ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო წარმოების პროდუქტები—სასურსათო და საექსპორტო ნედლეული) ნაღდ და საქონლის გაცვლა-გამოცვლის ანგარიშით.

განზრახულ გეგმის განსახორციელებლად აუცილებელი საჭირო საზრუნავი საშუალებანი, გამონაგარიშებული 227,000 ოქროს მანეთის რაოდენობით, უკვე არის გამგეობის განკარგულებაში.

დამამზადებელ განყოფილების გეგმა გულისხმობს შემდეგ საგნების დამზადებას: სიმინდი—300,000 ფუთი (განსაკუთრებით გასატანად); ლობიო—10,000 ფ.; კართოფილი—10,000 ფ.; ხახვი—5,000 ფ.; ჩაქვის ჩაი—1,000 ყველი შვეიცარიული—500 ფ.; კვერცხი—1.000,000 ც.; ნედლი ხილი—5,000 ფ.; ღვინო—30,000 ვედრო; ჯაგარი—200 ფ.; ცხვრის ტყავი—10,000 ც. და სხვა სულ 428,000 ოქროს მანეთის რაოდენობით.

კავშირის საწარმოო დაწესებულებები მოქმედებენ. გორის საკონსერვო ფაბრიკა გადატანილი იქნება ახალ ბინაზე, უმჯობესდება ფაბრიკის ტეხნიკური მოწყობილება; ამასთანავე გამონაგარიშებულია ფაბრიკაში 5 მილიონ ყუთ სხვა და სხვა კონსერვების და 10,000 ფუთზე მეტ სხვა და სხვა გამშრალ პროდუქტების დამზადება.

ამ ჟამად საწარმოო განყოფილება აშენებს ტფილისში ახალ მექანიკურ აბრეშუმის საქსოვ ფაბრიკას. ფაბრიკა შესდგება რუტის სისტემის 20 მექანიკურ დაზგისაგან. საქსოვ განყოფილების გარდა ფაბრიკას აქვს კიდევ სხვა ცეხები. ფაბრიკას ერთი რიგის მუშაობის დროს შეუძლია დაამუშაოს 60,000 არშ. აბრეშუმის და ქაღალდის ქსოვილები, მატერიები (წლიური დამზადება).

განზრახულია აგრეთვე კალბასის ქარხნის გაფართოება და ამ საქმეში ამხანაგურ საფუძვლებზე მონაწილეობის მისაღებად გადაწყვეტილია კომუნალურ განყოფილების მიწვევა.

სავაჭრო ოპერაციებში აღსანიშნავია ამიერ-კავკასიის კოოპერატივთა კავშირთან და მთლიან კოოპერატივთან ერთად შემდეგი საქონლების შესყიდვა: 60.000 ფ. შაქარის 25.000 ოქროს მანეთად (ცეკავშირის წილი უდრის ერთ მესამედს); მანუფაქტურა 18.000 არშ. ნარმა 4.500 ოქ. მანეთად. გამგეობის წევრს ამხ. ადანაიას რომელიც გაემგზავრა პარკის რეალიზაციისათვის, დავალებული აქვს ცეკავშირისათვის სხვადასხვა საქონლის შესყიდვა.

დამამზადებელ განყოფილების მიერ შეკრულია პირობათა მთელი რიგი ადგილობრივ კოოპერატიულ ორგანიზაციებთან ადგილობრივ წარმოების პროდუქტების დასამზადებლათ.

საკავშირო ორგანიზაციებზე საქონლის გადაცემას ჯერ არ აქვს მიღებული ფართო ხასიათი, მაგრამ ის იწყებს თანდათან ზრდას.

ამ ჟამად არა ვაჭრობის განყოფილების ხელმძღვანელობით სწარმოებს მუშაობა კოოპერაციის შესახებ დეკრეტის ცხოვრებაში გასატარებლად.

ეკონომიური ცხოვრება

მდგომარეობა ტფილისის ბაზარზე,
18 თებერვალი.

დღეს ბაზარზე ფასები შემდეგია: ყუბანის პურის ფქვილი სეიანკა ფუთი 800—850. ადგილობრივი ხორბალი ფუთი—350—400. ქერი ადგილობრივი ფუთი—280. სიმინდი 300—350. ხორბალი გარჩეული 400—450. პურის ფქვილი ადგილობრივი 450—500. სიმინდის ფქვილი ყვითელი ფუთი—300—350. თეთრი სიმინდის ფქვილი ფუთი 400—450. შაქარი რაფინადი—კენჭი 3 ტომრიანი ყუთი—30 ოსმ ლ. ქაღალდის ლირა. ფრანგული სატინა მეტრი 1 ლ. 10 პ., რუსული სატინა არშინი—180. სატინა ცინდ. 5 მეოთხ.—190. მარმარილოს საპონი ფუთი 2.800. მარსელის საპონი (მამალი) 50 კილო—12.000. ფხვნილი შაქარი ფუთი—5.80—6 ლირა. ნარმა ccc „სობ. გოლ.“ 40 იარდი—10 ლ. 50 პ. საზღვარ გარეთული ჩითი იარდი 25—35 პ. რუსული ჩითი—130—140. საზღვარ-გარეთული მადეპალამი იარდი 50 პიასტრი. ინგლისური შევიოტი № 3001 მეტრი—6 ლირა.

ლიონის იარმარკისათვის.

ცენტრალურ საიარმარკო ბიუროში. ცენტრალურ საიარმარკო ბიუროს ძირითადი მუშაობა დასრულებულია. ექსპონატები კერძო რესპუბლიკებისათვის შეგროვილია და იგზავნება ბათომში, სადაც გაივლის ცენტრალურ საიარმარკო ბიუროს კონტროლის ქვეშ და გადასარჩევად.

დღეს გაიგზავნება ტფილისიდან უკანასკნელი მასალები უმთავრესად დიაგრამები და ახსნა-განმარტების წერილები ამიერ-კავკასიის წარმოებების სხვა და სხვა დარგების შესახებ, მათ შორის—საკონცესიო ხასიათისაც. გაემგზავრა ბათუმში ცენტრალურ საიარმარკო ბიუროს რწმუნებული ლიონის იარმარკაზე ა. ს. პიროლოვი. ამ დღეებში მიემგზავრება აზერბეიჯანის რწმუნებული ინჟ. ვედიევი.

მოხსენება აზერბეიჯანში დამზადების შესახებ.

ლიონის იარმარკისათვის აზერბეიჯანში ექსპონატების დამზადების რწმუნებულმა ამხ. დუბინსკიმ წარადგინა ცენტრალურ საიარმარკო ბიუროში მოხსენება მის მიერ შესრულებულ მუშაობის შედეგების შესახებ. მოხსენებიდან გამოირკვა, რომ აზერბეიჯანის სახელმწიფოებრივ დაწესებულებებმა გადასულებმა სამეურნეო ანგარიშზე გამოიჩინეს მეტად სუსტი ინტერესი ლიონის ბაზრობისადმი. დიდი აქტივობა გამოიჩინეს სა ხელმწიფოს ხარჯზე არსებულმა დაწესებულებებმა—უმთავრესად მათ მისცეს იარმარკას ექსპონატები. საშუალებათა უქონლო-

მუშათა ცხოვრება

იურიდიული დახმარება მუშებს

კითხვა: რა არის სიღარიბის უფლება სამოქალაქო საქმის საწარმოებლად და როგორ უნდა მოექცეს პროფკავშირის წევრი, მუშა მოსამსახურე, რომ მან მიიღოს აღნიშნული უფლება?

პასუხი: სიღარიბის უფლება არის უხარჯოდ (უსასყიდლოდ) საქმის წარმოება სახალხო სასამართლოში და ამ უფლების მისაღწევად უპირველეს ყოვლისა მუშა-მოსამსახურემ უნდა მიმართოს თავის კავშირს და ითხოვოს მისგან შუამდგომლობის აღძრა მილიციის უფროსის წინაშე, რათა მიეცეს მთხოვნელს სიღარიბას მოწმობა. ეს უკანასკნელი უნდა წარედგინოს საქმის დაწყებისათანავე სახალხო სასამართლოს.

კითხვა: რა არის სახალხო სასამართლოს დაუსწრებელი განჩინება და რა შედეგები მოსდევს მას?

პასუხი: დაუსწრებელი გარდაწყვეტილება ხდება მაშინ, როდესაც მოპასუხე არ გამოცხადდება სასამართლოში. ამიტომ საჭიროა მუშებმა თავი აარიდონ სასამართლოში გამოუცხადებლობას, ვინაიდან, როდესაც მოპასუხე არა ცხადდება სასამართლოში, ის უსათუოდ აგებს და მაძიებელი კი საქმეს იგებს. წინაალმდეგ დაუსწრებელი გარდაწყვეტილებისა, მოპასუხეს თუმცა შეუძლია მისცეს სახალხო მოსამართლეთა საბჭოს საკასაციო საჩივარი, მაგრამ ამ უკანასკნელ შემთხვევაში არ შეიძლება ძიების უარის საყოფად დასახელება არც მოწმეებისა და არც წერილობითი საბუთებისა. ამის ამო მოპასუხე ძალაუნებურად ვარდება ძალიან ცუდ მდგომარეობაში; ამიტომ მოპასუხესთვის აუცილებლივ საჭიროა სასამართლოში საქმის გარჩევის დღეს გამოცხადება, მოწმეთა თანწაყვანა და წარდგენა სასამართლოსთვის ყველა წერილობითი საბუთებისა.

ხ. პ. ს. კ. იურიდიული ბიურო.

გაჭირვებული მდგომარეობა

(შრომის დაცვის ორგანოს საყურადღებოდ).

„კარლ მარქსის“ სახელობის თამბაქოს ქარხანაში მუშები იმყოფებიან ჰიგიენის მხრივ ძალიან ცუდ მდგომარეობაში. ქარხანაში ირიცხება 100-ზე მეტი მუშა და ამოდენა ხალხი უფრო მეტი ყურადღების ღირსი უნდა იყოს, ვიდრე ამას აქვს ადგილი.

როგორც კი დაიწყება შრომის დღე ქარხანაში, იმ წუთსავე სადგომი ივსება თუნუქის ღუმელების კვამლით და თამბაქოს მტვერით და 15 წუთის შემდეგ აქ სუნთქვა თითქმის შეუძლებელი ხდება. ასეთ ატმოსფერაში ჩვენ, მუშები, ვატარებთ წუთებს კი არა, მთელ 8 საათს ყოველ დღე. არა ერთხელ მივმართეთ სათანადო დაწესებულებებს ვენტელიაციის მოსაწყობათ, მაგრამ ყველა ჩვენი ცდა აღმოჩნდა „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“.

უმაღლეს სამეურნეო საბჭოს ინჟ. ხარაზოვმა აღგვითქვა ვენტელიაციის მოწყობა, მაგრამ როგორც სჩანს ეს „სპეცი“ კიდევ ვერ გამსჭვალულა სავსებით საბჭოთა აღმშენებლობის იდეებით და ძალიან ნაკლებათ ფიქრობს მუშებზე, და თხოვნის შესრულების ნაცვლად ხშირად გვიპასუხებს ხოლმე: „როგორ ფიქრობთ თქვენა, ვენტილიაციის მოწყობა ხურმა ხომ არ გგონიათო“. აი რა პასუხს იძლევიან მუშის კანონიერ მოთხოვნილებებზე ჩვენი „პატივცემული სპეცები“. დროა აილაგმონ ასეთი „მეურნენი“! დროა იფიქრონ მე-4 სახელმწიფო თამბაქოს ქარხნის მუშების ჭირ-ვარამზე!

ჩვენ გვსურს ვიმუშაოთ რესპუბლიკის მეურნეობის საკეთილდღეოთ, მაგრამ ჩვენ გვინდა ვისუნთქოთ წმინდა ჰაერით!

მუშა ინფ. მი. ი.

მუშები პროლეტკლუბში ეწერებიან

ამ წლის 1 თებერვალს შესდგა საპნის, ზეთის და საფეიქრო ტრესტის მუშა-მოსამსახურეთა საზოგადო კრება.

დღის წესრიგში სხვათა შორის იდგა მუშების პროლეტკლუბში წევრად ჩაწერის საკითხი. მომხსენებლად ამ საკითხის შესახებ გამოვიდა ამხ. გარიბჯანოვი, რომელმაც მსმენელებს განუმარტა პროლეტარული კლუბების მნიშვნელობა მუშათა კლასისათვის. შემდეგ მან აუწყო კრებას, რომ ვორონცოვის ქუჩაზე გაიხსნა ასეთი, ამხ. ნარიმანოვის სახელობის კლუბი და მოუწოდა მუშებს ჩაეწერონ ამ კლუბის წევრებად.

მოხსენების გამო ერთხმად იქნა მიღებული შემდეგი რეზოლიუცია:

„მოისმინეს რა მოხსენება ამხ. გარიბჯანოვისა პროლეტკლუბის მნიშვნელობის შესახებ, საპ.-ზეთ. და საფეიქრო ტრესტის მუშა-მოსამსახურეები ერთხმად ადგენენ კოლექტიურად ჩაირიცხონ წევრებად ამხ. ნარიმანოვის სახელობის კლუბში“.

ინფ. კორ. მუშა მ.

ძირს ლოთობა!

(გაგრძელება იხ. „კომ.“ № 34)

მიუხედავად იმ უბედურებისა, რაც თან დასდევს ლოთობას, ჩვენი მუშები ძლიერ ეწყობიან ამ მავნე სენს. მათ არა აქვთ სურვილი კითხვისა და ცოდნისა, არა აქვთ განვითარება და არ ესწრაფიან წყაროს მეცნიერებისას და ამიტომ დამღუპველ ლოთობის მსხვერპლად ხდებიან ძალიან ხშირად. მე ქვემოდ მოვიყვან ერთს მაგალითს ლოთი მუშის ცხოვრებიდან თუმცა ამისთანა მოვლენა ჩვენს ცხოვრებაში ძალიან ბევრია.

მე ძალიან კარგად ვიცნობდი ერთს ახალგაზდა მუშას, რომლის სინიდის-პატიოსნებაზე და ოჯახის ერთგულებაში ღრმად დარწმუნებული ვიყავი. ის მუშაობდა ქალაქ თბილისის ერთ თუთუნის ქარხანაში, შრომობდა, რამდენათაცკი ნებას აძლევდა. მან დაიწყო გადამეტებული ლოთობა. ის დარწმუნებული იყო, რომ ღვინის სმით შეიძლება ადამიანმა ყოველი დარდ-ნაღველი განდევნოს გულიდან, მაგრამ ეს სრულებით შემცდარი აზრია, თუმცაღა—ესეთი რწმენა ეხლაც ბევრს აქვს ჩვენ მუშებში. მაგრამ თუ ნამდვილად და საფუძვლიანად ჩაუკვირდებიან ჩვენი მუშები საგნის შინაარსს, ყველანი ნათლად დაინახავენ, რომ ლოთობა არ არის ნამდვილი საშუალება დარდ-ნაღველის გასაქარვებლად აქ აქვს ადგილი მხოლოდ დროებითი გონების გაბრუებას და ნერვების დაჩლუნგებას, და არა ნაღველის მართლა გაქრობას. ასე დაემართა ჩემს ნაცნობ მუშასაც. ის სახლიდან ფხიზელი დღით სამუშაოზე მიდიოდა და სახლში კი ყოველ ღამ მთვრალი ბრუნდებოდა. ამისგამო მას სხეულის კანკალი დასჩემდა. საქმიდან გული აუცრუვდა და დანიშნულ დროს სამუშაოთ ველარ გამოდიოდა, რისგამო ის ქარხნიდანაც განდევნეს, და დარჩა ჩვენი მუშა უსაქმოდ. მოემატა სახლის ქირა. ტანთ შემოაცვდა და უმწეო ცოლშვილიც შიმშილით აღამებდნენ დღეებს. ამას მოჰყვა ოჯახური უსიამოვნობა, ჩხუბი და ღალატიც. ნაცვლად იმისა, რომ ის გამობრუნებულიყო ამ ცუდ გზიდან, მან, სამაგიეროთ, ხელი მიჰყო უფრო საძაგელ ხელობას, ბანქოს თამაშს. ერთი სიტყვით, ჩვენი მუშა დაეცა ზნეობით, გაიხრწნა სხეულით, დაჰკარგა ყოველივე ადამიანური ღირსება და საყვარელი ცოლშვილიც. შრომის ძალღონე. ცოლის შერთვის შემდეგ ჩვენი მუშა მთლად გამოიცვალა: მუშაობდა დღე და ღამ თავგანწირულად და მაინც ვერ აკმაყოფილებდა ოჯახის აუცილებელ მოთხოვნილებასაც კი.

ცოლის შემდეგ შვილებიც შეეძინა, რის გამოც უფრო გაუძნელდა ცხოვრება.

მისმა ცოლმა ვერ აიტანა ასეთ საშინელი ცხოვრების პირობები და ჩქარა მან სხვა კაცი მონახა. ეს ამბავი ჩემს ნაცნობ მუშას არ ესიამოვნა და რომ ეს სირცხვილი თავიდან აეცილებინა, მან მიმართა ძველებურ საძაგელ ჩვეულებას.

ის ერთ-ღამეს იმ ზომამდე დათვრა რომ მან სრულიად გაჰკარგა გონება, გრძნობა და სინიდისი ადამიანისა, მივიდა სახლში და პირველ შეხვედრაზევე სული გააფთხობინა თავის ტანჯულს და იმედ დაკარგულს ცოლს... მეუღლის მკვლელი სასამართლომ გაასამართლა და ცივ ქვეყნებისაკენ გაგზავნა სამუშაოზე და პაწა, უმანკო ბავშვი დარჩა სრულიად უმწეოდ და უპატრონოდ.

აი ლოთობამ როგორ დაჰღუპა ერთი პატიოსანი და შრომის მოყვარე ოჯახი.

მუშა ალ. ბ—შვილი.

(დასასრული იქნება)

ბის გამო, მუშაობა მიმდინარეობდა მეტად მძიმე პირობებში, მაგრამ ისეთ დაწესებულებებმა, როგორიც არის, მიწათმოქმედების კომისარიატის სატყეო განყოფილება აზერბეიჯანის ბამბის წარმოება ცენტრალური მართველობა და სხვები, გამოიჩინეს არაჩვეულებრივი ენერგია და გააკეთეს ყველაფერი რაცკი შეეძლოთ.

6 თებერვალს ექსპონატები მზად იყო და გაიგზავნა ბათომში.

სპარსეთის თევზის წარმოების მართველობამ მოგვცა თევზის წებო, ქვირითი და სხვა. მიწად-მოქმედების კომისარიატმა—ხის ნიმუშები, ნიგვზის რკოლები, პარკეტი და სხვა. აზერბეიჯანის ღვინის წარმოებაში—ღვინოები, კონიაკები, პურის არაყი. აზერბეიჯანის აბრეშუმის წარმოებაში—აბრეშუმი ნედლეულის სახით, ფრიზომი, პარკი. აზერპეიჯანის ბამბის წარმოებამ—ნიმუშები ადგილობრივ ხარისხების ბამბა და თესლი. თამბაქოს ტრესტმა—პაპიროსები და თამბაქო. ცენტრალურ სტატისტიკურ მმართველობამ—კარტოგრამები. საშუალებათა უქონლობის გამო შინაური ექსპონატები შესყიდული არ ყოფილა.

პირველი სასურსათო თათბირი

ამიერ-კავკასიის სასურსათო სახალხო კომისარიატთან.

(სხდომა მესამე).

სხდომას ხსნის თათბირის თავმჯდომარე ამიერ-კავკასიის სახალხო სასურსათო კომისარი ამხ. **ბუნიატ-ზადე**, რომელიც დამსწრეთ შემდეგის სიტყვით მიმართავს;

„ამხანაგებო! ჩვენს გუშინდელს სხდომაზე ცხარე კამათი გაიმართა 1923 წლის სასურსათო გადასახადის კამპანიის საკითხის გარშემო. მე ყურადღებით მოვუსმინე ყველას და თვითეულს ორატორს მივეცი შესაძლებლობა, რომ თავისი აზრი გამოეთქვა.

გუშინ თვითეულ რესპუბლიკის წარმომადგენელნი თავიანთს სისტემას იცავდნენ და მიღებულად სთვლიდნენ სასურსათო გადასახადის იმ წესით შეგროვებას, რომლითაც სწარმოებს მეორე რესპუბლიკებში.

შეიძლება ზოგმა ისეთი აზრი გამოიტანა, რომ ამ სამი რესპუბლიკის ინტერესები სხვადასხვაგვარია, გადასახადის შეგროვების სისტემაც იქ სხვადასხვანაირია და ამიტომ არც შეიძლება მათი შეთანხმება და სასურსათო მუშაობის მთლიან გეგმის შემუშავება.

შემცდარია ის, ვინც ასე ფიქრობდა. მე დიდი კმაყოფილებით უნდა აღვნიშნო ის გარემოება, რომ თქვენ ყველანი ცხარედ კამათობდით და თვითეულ საკითხს განსაკუთრებულის გულმოდგინებით არკვევდით. მე, ხელმძღვანელი ამიერ-კავკასიის სასურსათო კომისარიატისა ამ გარემოებამ დამარწმუნა, რომ თვითეული თქვენთაგანი არა მარტო შეგნებულად და კეთილსინდისიერად ეპყრობით თქვენს საქმეს, არამედ გიყვართ კიდეც იგი.

მე გუშინ განგებ დავხურე სხდომა ჯერ კიდევ იმ დრომდე, როდესაც თქვენ თავისი სურვილები არ გამოგეთქვათ. ამით მინდოდა, რომ დღევანდლამდე საშუალება მომეცა ყველა ნალაპარაკევის აწონ-დაწონვისა, სასურსათო გადასახადის აკრების ყველა სისტემის დამშვიდებით გარჩევისა, რათა ამის შემდეგ შესაძლებელი ყოფილიყო ამოგვეღო ამ სისტემებიდან ყველა ის, რაც კარგია და მომავალში შეცდომები აგვეცდინა. მე ვფიქრობდი, რომ დღევანდელს სხდომაზე ჩვენ საერთო ენას გამოვნახავდით.

არც მოვტყუვდი. ამ სხდომის გახსნამდე მე მოვიწვიე ჩემი რწმუნებულნი სომხეთში და საქართველოში. ერთმანეთს გაუზიარეთ ჩვენი აზრი 1923 წლის სასურსათო გადასახადის შესახებ და შევიმუშავეთ გადასახადის კამპანიის უმთავრესი მომენტები და ძირითადი პრინციპები. ჩვენი თათბირის შედეგს სასურსათო თათბირის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ერქომაიშვილი მოგახსენებთ“.

ამხ. ერქომაიშვილი აქვეყნებს 1923 წლის სასურსათო გადასახადის კამპანიის შემდეგს ძირითადს მომენტებს, რომელიც შემუშავებულია წინასწარ თათბირზე:

1) 1923 წლის სასურსათო გადასახადის შეწერის ობიექტად უნდა იყოს: ა) მიწა, ფაქტიურად დათესილი შემოდგომის, ან გაზაფხულის პურით, ბოსტნეულით, კართოფილით, თუთუნით, ბ) ვენახები და ხილის ბაღები, გ) სათიბები, დ) მსხვილ-ფეხა და წვრილ-ფეხა საქონელი, ე) ფუტკარი.

2) ბამბის ნათესებს და აბრეშუმის პლანტაციებს გადასახადი არ უნდა დაედოთ.

3) გადასახადის რაოდენობა უნდა გამოირკვეს იმის მიხედვით, თუ რომელს კულტურას რამდენი დესეტინა უჭირავს მეურნეობაში, რამდენია დასაბეგრი საქონელი და ფუტკარი და რომელ კატეგორიას ეკუთვნის ესა თუ ის რაიონი მოსავლიანობის მხრით, რაიც გამორკვეულ უნდა იქმნეს სოფლების საგადასახადო საკომლო სიების მიხედვით.

4) განსაზღვრულ და გარკვეულს შემთხვევაში შესაძლებელია ნატურგადასახადის შეცვლა ფულადის ექვივალენტით.

5) სასურველია, რომ ხორბლის მოსავლიანობის ცხრა კატეგორია დაწესდეს, პირველი—25-მდე ფუთის მოსავლით, ხოლო მეცხრე—120 ფუთი და მეტი.

6) ამ კატეგორიების მიხედვით სასურველია შემდეგის განაკვეთების დაწესება ხორბლის ერთეულით: პირველ კატეგორიისთვის—20 გირვანქა, ხოლო მეცხრესთვის—8 ფუთი და 20 გირვანქა.

7) სასურსათო გადასახადის განსაზღვრის შემდეგ (ხორბლის ერთეულით) შემუშავებულ უნდა იქნას ექვივალენტის ცხრილი.

თათბირმა, მოისმინა რა ეს, ერთხმად სურვილი გამოსთქვა, რომ 1923 წლის სასურსათო გადასახადის კამპანიას საფუძვლად დაედოს ზემოხსენებული ძირითადი პრინციპები.

ამის შემდეგ თათბირი შეეხო **მომარაგების გეგმას** და ერთხმად გამოსთქვა სურვილი, რომ მთელი ამიერ-კავკასიისთვის შემუშავებულ იქნეს მომარაგების მთლიანი გეგმა, მომარაგებაზე მყოფნი მარაგდებოდნენ განსაკუთრებით იმ პროდუქტებით, რომელიც სასურსათო გადასახადის სახით აიკრიბება და სახალხო სასურსათო კომისარიატი განთავისუფლდეს იმ დანარჩენ პროდუქტებისა, ნახევრად ფაბრიკატებისა და ფაბრიკატების დამზადებისაგან, რომელიც მომარაგების გეგმაში შედის.

ქრონიკა

ამიერ-კავკასიის ცენტრ. ალმასკომში.

— **წითელი არმიის დღესასწაულისათვის.** ამიერ-კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების ცენტრალურ ალმასკომის პრეზიდიუმმა 150 მანეთი (ოქროთი) გადასდო წითელი არმიის 5 წლის არსებობის აღსანიშნავ დღესასწაულის გასამართავად.

— **დაჭრილ-დასახიჩრებულ არმიელთა დახმარება.** ამიერ-კავკასიის ცენტ. აღმასკომის პრეზიდიუმმა დაადგინა დაარსდეს ომში დაჭრილ დასახიჩრებულთა დახმარების კომიტეტი. კომიტეტის მოვალეობა იქნება ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინოს რევოლიუციის მტრებთან ბრძოლაში დასახიჩრებულ არმიელებს.

— **ეკონომიური წარმომადგენელი თურქესტანში.** ამიერ-კავკასიის ფედ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს უკანასკნელ სხდომაზე გადაწყვეტილ იქნა ეკონომიური წარმომადგენელის ყოლა თურქესტანში. ამ საკითხის განსახილველად და სათანადო დებულების შესადგენად ამორჩეულ იქნა კომისია 5 პირისაგან.

მიწად-მოქმედების კომისარიატში

— **კახეთის რაიონის ტყეების დამუშავება.** ვინაიდან მიწად-მოქმედების კომისარიატს დიდი მოთხოვნილება აქვს ამ ჟამათ ხე-ტყის, როგორც არის: შპალები (ტარვეზი) სატელეგრაფო ბოძები, სამთამადნო ბიჯგები და სხ. გადაწყდა დაუყონებლივ დაიწყოს კახეთის რაიონის სიღნაღისა და თელავის მაზრების ტყეების ნაყოფიერი დამუშავება. ამ საქმის მოსაწესრიგებლათ კომისარიატმა გაგზავნა ხსენებულ რაიონში კომისია, რომელშიაც შედიან ტყეთა ინსპექტორი ბაქრაძე და რევიზორი-ინსტრუქტორი ნ. ბრეგაძე.

ქალაქის აღმასკომში.

— **ტფილისის აბანოები.** ქალაქის სტატისტიკურ განყოფილების ცნობებით, ტფილისის ქალაქის აბანოების მუშაობა გამოიხატება 1923 წლის იანვრის შემდეგი სახით. მომხმარებელთა რიცხვი უდრის 70,306, რომლისგან ცალკე „ნომრებით“ უსარგებლიათ 33,921 სულს, საერთო განყოფილებიდან 26,507 მამაკაცს, ხოლო 9,968 ქალს. აბანოებიდან ამავე თვის განმავლობაში შემოვიდა: 2,717,215,000 მანეთი, საიდანაც ცალკე „ნომრებს“ მოდის 54,5 პროცენტი შემოსავლისა, მამაკაცების განყოფილებაზე—20,0 პროცენტი, დედაკაცების—19,5 პროცენტი; გასავალი იყო: 1,450,984,000 მანეთი, რაც შეადგენს 53,4 პროცენტს საერთო შემოსავლის ჯამიდან.

შრომის კომისარიატში.

— **შრომის კანონების კოდექსის გამოცემა.** ამიერ-კავკასიის შრომის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს კოლეგიამ დაადგინა დაბეჭდოს ქართულ ენაზე შრომის კანონების კოდექსი.

სისხლის სამართლის მილიციაში

—**საყურადღებოთ.** სისხლის სამართლის მილიციის ბინაზე უკანასკნელათ დაგროვდა დიდძალი გაქურდული ნივთები, რომელიც შეგროვილია უკანასკნელ ჩხრეკის დროს. დაზარალებულ მოქალაქეთ წინადადება ეძლევათ დაათვალიერონ ნივთები თავიანთ დაკარგულ ნივთების გამოსაცნობათ. დათვალიერება სწარმოებს დილის 10—3 საათამდე.

კრებები და მოხსენებები

— დღეს 15 თებერვალს, საღამოს 7 ნახევარ საათზე რესპუბლიკის მთავარ საავათმყოფოში დანიშნულია სხდომა ქართველ ექიმთა და ბუნების მეტყველთა საზოგადოებისა. მომხსენებელია პროფ. მ. ასათიანი: ჰანსერის სიმპტომოკომპლექსის პსიქიური მექანიზმები ისტერიის დროს.

ასისტ. ვ. კაკრიშვილი—ქვედა კიდურების ვენური კოლატერალური გზები.

ხელოვნება

— **აკაკის სალამო.** დღეს ხელოვნების სასახლეში სერგიევის ქ. № 13 გაიმართება მორიგი ლიტერატურული ხუთშაბათი **„აკაკის“ სალამო.** გარდაცვალებიდან რვა წლის შესრულების აღსანიშნავათ. სიტყვებს წარმოსთქვამენ: კ. აბაშიძე, გ. გამსახურდია და ა. ჭუმბაძე. ლექსები და მოგონებები: გალაქტიონ ტაბიძე, ვ. რუხაძე, ობოლი მუშა, ტერენტი გრონელი და სხვა. ბილეთების ფასი 50.000 მანეთი, დასაწყისი საღამოს 7 საათზე.

— **სახელმწიფო ოპერა.** დღეს 15 თებერვალს „თავადი იგორი“ მონ. გაზოვეცკაია, სარაჯიშვილი, ისეცკი, ბაბინინი, შარაშიძე და სხვ.

დღეს თეატრებში.

სახელმწიფო ოპერა—დოლიძის სალამო რუსთველი თეატრი—„სალომე“ ქართულ ენაზე. სახალხო სახლი—„ცრუ დიმიტრი და დედოფალი ქსენია“ გლაგოლინის და ვალერსკაის მონაწილეობით. საბჭოთა თეატრი—სომხური წარმოდგენა. პროფკავშირთა კლუბი—დოქ. ეტისოვის ლექცია. კინო-მინიონი—„წითელი ფონარი“. კინო არფასტო—„უხილავი ხელი“ მე-4 სერია. კინო სოლეილ—„ყვითელი სამკუთხედის რაინდები“. კინო პალასი—„კაბირია“. კინო ზერკალნი—„ჯუნგლეის საიდუმლოება“.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 6

ა. კ. შრომის სახალხო კომისარიატის საქ. რწმუნებულის სამმართველოსი.

12 თებერვალი, 1923 წ.

1. საქართველოს ს. ს. რ—თვის მიღებულ საბიუჯეტო ინდექსის მიხედვით 100 პროც. ზოლისათვის—ომამდე არსებულ საქონლის ფასის გამომხატველი მანეთის კურსი თებერვლის თვის პირველ ნახევრისათვის—განისაზღვროს 630.000 მან. ამიერ-კავკ. ფული ნიშნებით.

2. პროვინცაში შრომის ხელფასის ანგარიშის გასწორება უნდა იწარმოოს 100 პროც. ზოლის ინდექსით, რომელიც შემცირებულ უნდა იქმნეს თანახმად სატარიფო ზოლებისა.

ა. კ. შრომის სახალხო კომისარიატის რწმუნებული საქართველოში **ა. იაშვილი.**

საერთო-საორგან. განყოფ. გამგე **ლ. ქურდოვანიძე.**

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის მეოთხე რაიკომი აძლევს წინადადებას გამოცხადდენ რაიკომის „აგიტპროპ“-ში შემდეგი ამხანაგები: ავაქოვი, ვართანოვი (უმ. სამ. საბ.), არ. როდოვიანი, ხაჭაპურიძე, ბახუტოვი, გინზბურგი, ლიადოვსკი, ნ. ზავარიანი, არჩ. მი აძე, რუხაძე, შავერდოვა და სურ. ერზიკიანი.

— შაბათს 17 თებერვალს, საღამოს 6 საათზე ცენტრალურ პარტიულ სკოლაში გაიმართება სტუდენტთა წრის კრება. ხელმძღ. ამხ. ნოვიკოვი.

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის საგიტ-საპროპ. განყოფილება.

ახალგაზრდათა კომკავშირის იაჩეიკების მუდმივ სახელმძღვანელოთ, ახალგაზრდათა შორის ერთია დღის, საქართველოს კომპარტიის მეოთხე რაიონული კომიტეტი ამაგრებს ახალგ. კომკავშირთან შემდეგ ამხანაგებს:

1. ლიოზნიანსკაია—იაჩეიკა ექსპედიციის.
2. დუბროვინა—იაჩეიკა ქალაქის აღმასკომის.
3. ამო ბრუთინოვი—იაჩეიკა მეტყავეების.
4. სტეფანიანი—იაჩეიკა საქ. საგ. კომის.
5. დევდარიანი გაიოზ—იაჩეიკა საქ. საფაბრ. მოსწავლ.
5. ხაცკევიჩი—იაჩეიკა ელექტროტეხნიკ.

ყველა გამორჩეული ამხანაგები შედიან აგრეთვე საქ. ახალგაზრდათა კომკავშირის მეოთხე რაიკომის პროპ-კოლექტივში.

ზემო აღნიშნულ ამხანაგებს ევალებათ 3 დღის ვადაში გამოცხადდენ საქ. ახ. კომკავშირის მეოთხე რაიკომის მდივანთან.

პასუხისმგებელი მდივანი რუბენი.

პროფესიონალური

სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა საბჭო წინადადებას აძლევს ამავე უნივერსიტეტის კურსისა თუ ფაკულტეტის, სამეცნიერო და ლიტერატურულ წრეების გამგეობებს და ყველა სტუდენტურ ორგანიზაციებს, რომელთაც აქვთ შტამპები და ბეჭდები, სამი დღის ვადაში ჩააბარონ ასეთები სტ. საბჭოს ტეხნიკურ მდივანს უნივერსიტეტის შენობაში, საბჭოს ოთახში, დილის 11 საათიდან 2 საათამდე.

სტუდენტთა საბჭო.

განცხადებები

რუსთაველის თეატრი
დღეს 15 თებერვალს
სალომეა
დასაწყისი საღამოს 8 საათზე.
კრ. 182—1—1

სახელმწიფო ოპერა
დღეს, 15 თებერვალს,
თავადი იგორი
დასაწყისი საღამოს სრულ 8 საათზე.
კრ. 183—1—1

შინაგან საქმეთა სახალხო
კომისარიატი
აცხადებს, რომ მან პროფ. ი. ჯავახიშვილის ხელმძღვ
ლობით და რედაქტორობით
დაამზადა
10 ვერსიანი გეოგრაფიული
რუკა
საქართველოსი
ქართულ ენაზე, 4 დიდ ფურცელზე ექვს ფერად,
სათემო ცენტრების და სოფლების აღნიშვნით და იყიდ
ყველა საბჭოთა და საზოგადოებრივ დაწესებულებ
3 მანეთად,
კერძო დაწესებულებებზე და პირებზე
5 მანეთად ოქროთი.
ყიდვა შეიძლება შინაგან საქმეთა სახალხო კომის
რიატში: ევანგულოვის ქუჩა № 2, ყოფ. კადეტთა კორ
სის შენობა, მესამე სართული, ოთახი № 20,
14—91.
კრ. 185—1—1

ელექტრონის და სინათლის
სამკურნალო
საწოლებით რენტგენი დ'არსონვალი
მიხეილ გედევანიშვილის სახელობის
ნერვიულ და შინაგან ავადმყოფთათვის—რომელნიც ფიზიკურ მეთოდ
ექიმობას საჭიროებენ.
საავადმყოფო სწარმოებს ექ. სვიმონ უიფშიძის ხელმძ
ნელობით. ტფილისი, ყორღანოვის ქ. № 20. (733—25—11)

მე-2 საკონსულტაციო-საექიმო კაბინეტი
მედიცინის დოქტორის
ვ. ვ. შენგელიძისი და ექიმი ვ. გ. მეუნარგიასი
მიიღებიან ბავშვები ყოველგვარი რჩევა-დარიგებისათვის.
ყოველ დღე გარდა უქმეებისა საღამოს 5—6 საათამდე ბელინსკ
№ 22 ტელეფ. 1—44. (77—25—11)

დოქტორი გ. მეგრაბიანცი
„ყ. ასისტენტი ბერლინის უნივერსიტეტის კლინიკებისა“
შინაგანი ფილტვების—ჭლექი და გულის ავადმყ. სპეც. წამლობა მალარ
შეშ. 914 რენტგენის სინათლის—ელექტრონის წამლობის კაბინეტი.
იღებს 9—12 საათამდე დღის და 5—7 ს. საღამოს.
ბებუთოვის ქუჩა № 23

საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს

დადგენილება

№ 22, 1923 წ. 8 თებერ.

სავაჭრო წარმოებათა რეგისტრაციის და აღრიცხვის შესახებ.

1. რესპუბლიკაში სავაჭრო წარმოებათა აღრიცხვის მიზნით, ყველა სავაჭრო, სახელმწიფოებრივი, საზოგადოებრივი და კერძო წარმოებანი უნდა გატარდენ რეგისტრაციაში საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ეკონომიურ განყოფილებაში ორი თვის განმავლობაში ამა დადგენილების გამოქვეყნების დღიდან დაწესებულ ფორმის მიხედვით.

2. რეგისტრაციაში ტარდებიან სავაჭრო დაწესებულებანი, რომელთა სავაჭრო ბრუნვა უდრის არა ნაკლებ 100 მილიონ მან., ამასთანავე აღნიშნულ ბრუნვის განსაზღვრას საფუძვლად უნდა [illegible] გადასახადო დაწესებულების 1922 წლის ცნობები. (ბრუნვის ჯამი, რომელიც აღნიშნულა 1922 წლის [illegible] გადასახადის საგადასახადო ფურცლებში.

3. სააქციონერო საზოგადოებანი, სავაჭრო ამხანაგობანი და სხვ. კოლექტიური/ წარმოებანი [illegible] ეკონომიურ განყოფილებაში წესდების ან დებულების ორ ეგზემპლიარს, რომლის თანახმად ერთი ეგზემპლიარი სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმის მიერ დამტკიცების [illegible] უკან სავაჭრო წარმოებას, ხოლო მეორე რჩება საქმეში.

4. ქ. ტფილისის წარმოებანი ტარდებიან სახ. მეურ. უმაღ. საბჭოს ეკონომიურ [illegible] ტრაციაში უშუალოთ, პროვინციის კი—ადგილობრივ კომუნალურ მეურნეობის განყოფილებების [illegible]

5. ახლად დაარსებული სავაჭრო წარმოებანი უნდა გატარდენ სახ. მეურნ. უმაღ. საბჭოს ეკონომიურ განყოფილების რეგისტრაციაში იმ წესით, რომელიც აღნიშნულია წინა მუხლში, ამასთანავე [illegible] ორი კვირის განმავლობაში სათანადო განცხადების წარდგენის დღიდან, არ მიიღებენ პასუხს, [illegible] ციაში გატარებულად და წესდება დამტკიცებულად ითვლება.

6. ყველა სავაჭრო წარმოებანი, რომელნიც 2-ე მუხლს ექვემდებარებიან, ვალდებულნი [illegible] გამოაქვეყნონ ნახევარი და ერთი წლის ანგარიშები.

7. სავალდებულო პუბლიკაციები, რომელიც 6-ე მუხლშია აღნიშნული იბეჭდება [illegible] ნეობის უმაღლეს საბჭოს ორგანოში.

8. სავაჭრო წარმოებებმა უნდა აღნიშნონ პასუხისმგებელ პირთა გვარები და საცხ[illegible]

9. ამა დადგენილების ფაქტიური აღსრულების ზედამხედველობა დაკისრებული აქ[illegible] ტორებს.

10. ყველა იმ შემთხვევებში, როდესაც ამ დადგენილების ან სვაჭრო წარმოებათა [illegible] ნების დარღვევას საქართველოს საზღვრებში, არ მოჰყვა დამნაშავე პირთა სასამართლოს [illegible] მიცემა, დამნაშავე იქნება დაჯარიმებული 1000 მან. ოქროთი, რომელსაც აწესებს სახ. [illegible] ჭოს პრეზიდიუმი ეკონომიურ საბჭოს მოხსენების თანახმად.

11. დადგენილება ესე ძალაში შედის მისი გამოქვეყნების დღიდან.

სახ. მეურ. უმაღლეს საბჭოს თავმჯდომარე **ვ. აგაკოვი.**
ეკონომიურ განყოფილების თავმჯდომარე **პრეობრაჟენსკი.**
ქ. თფილისის მრეწველობის ინსპექტორი **ა. [illegible]**

(კრ. 184—3—1

ტირაჟი 10,000 ნ. ს. დ. ფ.

საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პოლიგრაფიულ განყოფილების მე-2 სტამბა [illegible] ქ. № 4.